აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№91 (24.971) ხუთშაბათი, 25 - 26 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 30-35, მაღალ მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 29 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

სალომე ზურაბიშვილმა გუშინ უკრაინას დამოუკიდებლობის დღე მიულოცა. „უკრაინელი ერი

მსოფლიოს აჩვენებს თავის ღირსეულ ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. საქართველო და უკრაინა ახლო, მოძმე ერები არიან, მსგავს ბრძოლაში ჩართულები. ჩვენ ვიცით დამოუკიდებლობის ფასი. ყოველთვის ერთად ვიდგებით“, - დაწერა საქართველოს პრეზიდენტმა.

* * *

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით მილოცვა გაავრცელა. „კონსტიტუცია ქართველი ხალხის უმთავრესი დასაყრდენია ევროპული სახელმწიფოს შენების პროცესში. უზენაესი კანონის განუხრელი ერთგულება და დაცვა სამოქალაქო ერთობის, მშვიდობის, კეთილდღეობის, ქვეყნის სტაბილურობისა და წინსვლის უმთავრესი პირობაა“, - აღნიშნულია განცხადებაში. საქართველოს პარლამენტმა ქვეყნის უმთავრესი სახელმწიფოებრივი დოკუმენტი - კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო.

* * *

კონსტიტუციის სტაბილურობა არის სახელმწიფოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით საუბრისას. მისი თქმით, ბოლო 5 წლის განმავლობაში კონსტიტუციის არც ერთი ძირითადი ნორმა არ შეცვლილა. „იყო შემთხვევები, როდესაც შეიცვალა გარდამავალი დებულებები, რისი საფუძველიც იყო პოლიტიკური შანტაჟი და ასეთივე ცვლილებების განხორციელება მოგვიწევს წელსაც, პროკურორების ნაწილში, თუმცა ეს პრაქტიკაც უნდა დასრულდეს, რადგან შანტაჟის ფონზე არცერთი კონსტიტუციური ნორმა არ უნდა შეიცვალოს“, - აღნიშნა მან.

* * *

პარტია „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ ლიდერის განცხადებით, აუცილებელია საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას. „დღეს, როდესაც ისევ ვიგებთ უარყოფით ინფორმაციას პატიმრების ვითარებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ვითხოვ, რომ შეიქმნას საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისია ციხეებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. როგორც თავის დროზე, ახლაც ძალიან მნიშვნელოვანია ეს მოთხოვნა“, - აცხადებს ანა დოლიძე.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმში უკრაინის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

მანანა კიკიშვილი 598 24 94 97

გუშინ უკრაინის დამოუკიდებლობის დღე ბათუმშიც აღინიშნა. უკრაინამ დამოუკიდებლობა 1991 წლის 24 აგვისტოს გამოაცხადა. მეგობარ ქვეყანას ეს დღე მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა

ბათუმის ბულვარში ტარას ბულბასა და ლესია უკრაინკას ბიუსტებთან ბათუმში მცხოვრები უკრაინული დიასპორა, უკრაინიდან იძულებით გადადგილებულები და ამჟამად დროებით ჩვენთან მცხოვრები უკრაინელები შეიკრიბნენ. ღონისძიება ბათუმის მერიისა და ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის მხარდაჭერითა და საქართველო-უკრაინის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ედნისტის“ ორგანიზებით (თავმჯდომარე ნატალია მიროშნიჩენკო) ჩატარდა.

- უკრაინის მოქალაქე ვარ, მაგრამ თითქმის სამი წელია აქ ვცხოვრობ, ნიკოლაევის ოლქიდან ვარ. ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა, მისი პატრიოტი ვარ, მინდა, რომ მალე გაიმარჯვოს იმ ომში, რომელიც ყველასთვის დიდი დარდია, რომელმაც მთელ უკრაინას ამდენი ტანჯვა მოუტანა, ბევრი მამულიშვილი გარდაიცვალა, მათ შორის ბავშვები. მინდა სიმართლემ გაიმარჯვოს, - გვითხრა მარინა არგუნმა.

- უკრაინიდან, ხერსონის ოლქიდან ვართ, ჩამოვედით 19 აპრილს. ჩვენი ტერიტორია ახლა ოკუპირებულია. ეს დღე ჩვენთვის მართლა დღესასწაულია, ამ დღეს გავხდით დამოუკიდებლები. ყველა ძალიან განვიცდით იმას, რაც ქვეყანაში ხდება. ეს ომი ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება, - თქვა ალექსანდრ ფისაევმა.

- ეს დღე მათთვის დიდი დღესასწაულია, ამასთან ერთად ძალიან განიცდიან, რომ იქ ახლა ომია. შემოხიზნულები არიან აჭარაში. საქართველოში ამჟამად დარეგისტრირებულია 25 ათასი უკრაინელი. არიან დაურეგისტრირებულებიც. დიდი იმედი მაქვს, რომ ისინი მალე საკუთარ მიწა-წყალს დაუბრუნდებიან. მადლობა ყველა სტრუქტურის წარმომადგენელს - რა საკითხზეც არ მივმართე, არასოდეს უარით არ წამოვსულვარ. მადლობა მოხალისეებს - ისინი დიდ საქმეს აკეთებენ, - გვითხრა უკრაინის საპატიო კონსულმა აჭარაში როსტომ ნაკაშიძემ.

- ჩვენი ორგანიზაცია ოფიციალურად 19 წელია, რაც დაარსდა და ზუსტად ამდენი წელია აღვნიშნავთ უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს. წელს დიდი ტკივილით აღვნიშნავთ, რადგან ვიცით, რომ უკრაინაში საშინელი ბრძოლებია. ვლოცულობთ, რაც შეიძლება მალე დასრულდეს ეს კოშმარი. მადლობას ვუხდით საქართველოს, ქართველ ხალხს თბილი ურთიერთობებისთვის, რომ აქ იძულებით გადაადგილებულ უკრაინელებს ასე გულთბილად მასპინძლობენ, მხარს უჭერენ უწევენ. დღევანდელი დღეც მერიის გვერდით დგომითაა. დიდება საქართველოს, დიდება უკრაინას, - თქვა „აჭარასთან“ საქართველო-უკრაინის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ედნისტის“ თავმჯდომარე ნატალია მიროშნიჩენკომ

დიმა ჩალენკო აქაური უკრაინელია, რომელიც ყველა ღონისძიებაში მონაწილეობს, გუშინაც მან ფლეიტაზე დაუკრა შესანიშნავი უკრაინული, თბილი მელოდია, რომელმაც უკრაინელებს ცრემლი მოჰგვარა, სახლი გაახსენა. მერე ცაში ყვითელი და ცისფერი საჰაერო ბუშტები გაუშვეს. ღონისძიების დასაწყისში კი ყვავილებით შეამკეს დიდი კობზარისა და ლესია უკრაინკას ბიუსტები, შესრულდა ორი ქვეყნის - უკრაინისა და საქართველოს ჰიმნები.

„ბათუმის მერია ქალაქში არ დაუშვებს არავითარ პროვოკაციას“

გუშინ, 24 აგვისტოს, უკრაინამ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. ამასთან, 6 თვე შესრულდა რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან. ამ დღესთან დაკავშირებით, თბილისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში უკრაინის მხარდამჭერი აქციები დაიგეგმა

ბათუმში, „საოცრებათა მოედანზე“, აქტივისტებმა კონცერტის გამართვა გადაწყვიტეს, სადაც სიმღერებთან ერთად, ვოლოდიმირ ზელენსკის და უკრაინელი სამხედროების ვიდეოჩანაწერები უნდა ეჩვენებინათ. უკრაინის მოქალაქეებმა და აქტივისტებმა მერიას ტექნიკური მხარდაჭერისთვის მიმართეს. მათი განცხადებით, მერია თავდაპირველად დათანხმდა, თუმცა, მოგვიანებით, კონცერტის სცენარი მოითხოვა და მას შემდეგ, რაც გაარკვიეს, რომ კონცერტის პარალელურად, ეკრანზე ვიდეოჩანაწერებიც უნდა გასულიყო, ორგანიზატორებს მოსთხოვეს, სცენაზე არ გაუღერებულიყო ფრაზა რუსეთი, როგორც ოკუპანტი, რადგან ეს ქალაქში ჩამოსულ ტურისტებს გააღიზიანებდა... ასევე მოითხოვეს სცენარში ცვლილებების შეტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპარატურას არ მისცემდნენ.

- ბათუმის მერიას არ მოეწონა ოკუპაციის ხსენება... მითხრეს, ჩვენ ვართ კატეგორიული წინააღმდეგი, რომ თქვენ ახსენოთ ომი, ახსენოთ ოკუპაცია, რუსეთი, რადგან არ გაღიზიანდნენ სტუმრები, რომლებიც არიან ჩვენს ქალაქშიო... ჩვენ შევხვდით სოფო ხალვაშს და ავუხსენით, რომ ეს არ იყო პოლიტიკური ამბავი და მისგან მივიღეთ თანხმობა, ბოლოს კი პირობა წამოგვიყენა, ან ვიდეოებს გავუშვებდით, ან სცენის გამოყენების შესაძლებლობა არ გვექნებოდა... ჩვენი აზრით, ღალატი იქნებოდა კონცერტზე უკრაინელი სამხედროების ვიდეოების არგაშვება, - თქვა მედიასთან საუბრისას საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნიკა ქაშიბაძემ.

ოპოზიციონერების ბრალდებებს გუშინვე გამოეხმაურა ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, რომელმაც რადიკალურ ოპოზიციას მოუწოდა, თავი შეიკავონ ყოველგვარი პროვოკაციისგან და ანტისახელმწიფოებრივი კამპანიების წარმოებისგან.

„დღეს 24 აგვისტოა - ჩვენი მეგობარი ქვეყნის, უკრაინის დამოუკიდებლობის დღე. მსურს, ჩვენს მოძმე უკრაინელ ხალხს მივულოცო მათი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე, მხარდაჭერა გამოვუცხადო და მშვიდობა ვუსურვო მათ.

ამ ფონზე უხერხულიც კია იმ სამარცხვინო კამპანიაზე საუბარი, რაც სწორედ უკრაინის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით წამოიწყო რადიკალურმა ოპოზიციამ და მათ მიერ მართულმა მედიამ. თუმცა, უხერხულობის მიუხედავად, ვალდებულები ვართ, რომ საზოგადოებას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მივაწოდოთ ინფორმაცია იმ პროვოკაციასთან დაკავშირებით, რომლის მოწყობასაც „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს, ვითომდა ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გეგმავდა.

რადიკალური ოპოზიციის მიერ მართული ტელევიზიების ეთერში საზოგადოებამ იხილა ის ისტერია, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბათუმში, ვითომდა სცენის დათმობასთან და უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტის ჩატარებასთან დაკავშირებით მოაწყო.

სცენა, რომელზეც საუბარია, ამჟამად ისედაც ამორტიზებულია და იქ კონცერტის ჩატარება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა ეს შედარებით მეორეხარისხოვანი საკითხია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი გახლავთ ის ინფორმაცია, რაც ჩვენ გვაქვს, რომ აღნიშნულ ღონისძიებაზე იგეგმებოდა მძიმე ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებები და პროვოკაცია, ძირითადად უკრაინაში მყოფი რამდენიმე ადამიანის მონაწილეობით.

ორგანიზატორები ამიტომაც ვერ აკონკრეტებდნენ, რა სახის ღონისძიების ჩატარებას აპირებდნენ, იყო ეს კონცერტი, ვიდეომიმართვები თუ ა. შ.

პროვოკაციაზე ინფორმაციის ნამდვილობას და რეალურად სხვა მიზნის არსებობას, ვიდრე ეს უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნაა, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ როგორც კი ბათუმის მერის მოადგილესა და რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია შედგა და მათ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს, მომენტალურად, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კონტროლირებადი სამივე ტელევიზია საქმეში ჩაერთო და სკანდალის აგორება სცადეს, რაც, როგორც გამოჩნდა, ასევე წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი. აქვე უნდა შევეხოთ პირადი მონაცემებისა და მიმოწერის გასაჯაროების საკითხს. იმედი გვაქვს, რომ ამ საკითხით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი დაინტერესდება. რაც შეეხება რადიკალური ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციების მოწყობის მცდელობას, გარწმუნებთ, ბათუმის მერია ჩვენს ქალაქში არ დაუშვებს არავითარ პროვოკაციას, მით უფრო, ჩვენი მეგობარი უკრაინელების დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის საფარქვეშ! მოვუწოდებთ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ ყოველგვარი პროვოკაციისგან და ანტისახელმწიფოებრივი კამპანიების წარმოებისგან, რომელიც მათი მხრიდან ვითომდა უკრაინის მხარდაჭერისა და მათი დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის სურვილით იფუთება“, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

მოამზადა
ანკა ჩხიკვაძემ

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

თორნიკე რიჟვაძე ნიდერლანდების სამეფოს ელჩს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ნიდერლანდების სამეფოს ელჩს საქართველოში, ქალბატონ მაიკე ვან კოლდამს უმასპინძლა.

შეხვედრაზე მხარეებმა აჭარაში ტურიზმის სწრაფი აღდგენის, მიმდინარე სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ისაუბრეს. აქცენტი გაკეთდა საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის საზღვაო სფეროში არსებულ აქტიურ ურთიერთთანამშრომლობასა და საზღვაო სფეროს სამომავლო განვითარებაზე.

ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით საქართველოში განხორციელდა ინვესტიციები ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ფინანსები, ინფრასტრუქტურა.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

ტიტე აროშიძე ოპოზიციის განცხადებას გამოეხმაურა

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

რეგიონის საკანონმდებლო ორგანოში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა, სადაც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძემ უკრაინელ ხალხს ეროვნული დღესასწაული მიულოცა, ასევე, გამოეხმაურა ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებს, რომლებიც პროვოკაციად შეაფასა.

„პირველ რიგში, უკრაინელ ხალხს მინდა მივულოცო ეროვნული დღესასწაული და აღვნიშნო, რომ დღეს უკრაინა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოლო დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისათვის. საქართველო სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს ამ ბრძოლაში. რაც შეეხება ბათუმში განვითარებულ მოვლენებს, ომისა და ღალატის პარტია კიდევ ერთხელ შეეცადა პროვოკაციის მოწყობას. ფაქტია ისიც, რომ რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი პარტიის ლიდერმა - ირაკლი კობახიძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა იმ მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ, რომლებიც იგეგმებოდა ქვეყანაში და მათ შორის, აჭარაში. მისი ეს განცხადება მაშინ სასაცილოდაც არ ეყოთ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს, მაგრამ ეს ნათლად დადასტურდა ბათუმში, როცა უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის მოტივით ცდილობდნენ პროვოკაციის მოწყობას. საქართველოს ხელისუფლება, ქართველი ხალხი სრულ სოლიდარობას უცხადებს უკრაინას და უკრაინელ ხალხს, მხარს უჭერს ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და მჯერა, ჩვენი საზოგადოება არ აჰყვება არანაირ პროვოკაციას“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძემ საკანონმდებლო ორგანოში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.

მთავარ ომს თავადვე ვუცხადებთ ერთმანეთს“

მედიაში უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა ბათუმის მერის მოადგილე სოფო ხალვაში. იგი აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებენ. გთავაზობთ ტექსტს შემოკლებით:

„ბოლო ორი დღეა, ჩემს სახელთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს ბინძური კამპანია. „ტელეკომპანია პირველზე“ გავიდა სიუჟეტი, სადაც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მე ხელს ვუშლი უკრაინის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას ბათუმში, ვკრძალავ ომის ხსენებას ღონისძიებაზე. გამოქვეყნდა ჩემი მიმოწერა ღონისძიების ორგანიზატორებთან, რომელიც, რა თქმა უნდა, კონტექსტიდან არის ამოვარდნილი და მხოლოდ ის ფრაზებია წარმოჩენილი, რომელიც საზოგადოებას შეუქმნის ილუზიას, თითქოს მე წინააღმდეგი ვარ, დავეხმარო უკრაინელი ხალხისთვის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნაში.

ძალიან ცუდია, რომ ცალმხრივად გავრცელებული დეზინფორმაციის გამო, ჟურნალისტებმა და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, ყოველგვარი ეთიკის უგულებელყოფით, ხმამაღლა გამომაცხადა ჩემი ქვეყნის მოღალატედ!..

სამწუხაროდ, მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც მსგავსი პროვოკაციის გამო, უსამართლოდ გაკიცხეს, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერს პასუხი უნდა გაეცეს, საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე და მეტიც, შეიქმნას პრეცედენტი, როცა დეზინფორმაციის გამავრცელებლებს პასუხს მოვთხოვთ მათ საქციელზე!

უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძებასთან დაკავშირებით, მერიაში წერილი შემოვიდა 8 აგვისტოს, სადაც საუბარი იყო ჩვენი მხრიდან კონცერტის გაკეთებაზე, ანუ შემსრულებლები კონცერტს საწყის ეტაპზე არ ჰყავდა. ამის შემდეგ დამირეკა გიორგი კირთაძემ „ნაციონალური მოძრაობიდან“ და მთხოვა, შევხვედროდი ორგანიზატორებს. შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მოიყვანდნენ 14 შემსრულებელს და ასევე გაუშვებდნენ 4-5 ვიდეომიმართვას, რაზეც ასევე შევთანხმდით.

მალე კვლავ შეიცვალა პირობები და აღმოჩნდა, რომ კონცერტის მსვლელობისას შემსრულებლებზე მეტი ოდენობის ვიდეომიმართვა იყო დაგეგმილი, მათ შორის არა მხოლოდ ომის თემატიკაზე. ამასთან დაკავშირებით, იქვე დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ კონცერტი, რა თქმა უნდა, ისე ვერ ჩაივლიდა, რომ ომი არ ხსენებულიყო... რადგან ომია! და ეს მე ძალიან კარგად ვიცი...

„TV 1“-ის სიუჟეტში ჟურნალისტი მაქსიმალურად ცდილობს დააფიქსიროს, რომ მე, სოფო ხალვაში, ომის ხსენების წინააღმდეგი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიების ორგანიზატორი ცხადად უარყოფს ამას...სამწუხაროდ, ამ ფაქტის ინტერპრეტაცია სწორედ ისე მოხდა, როგორც პროვოკაციის ავტორებს ჰქონდათ ჩაფიქრებული, რასაც ადასტურებს ამ თემისადმი და ჩემდამი მიძღვნილი პოსტები და კომენტარები...

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე არაერთი კონცერტის ორგანიზებისთვის შემიწყვია ხელი, მათ შორის, სწორედ მე გახლდით სულ ახლახან სასტუმრო „მერიდიანში“ გამართული, უკრაინელი ხალხისთვის მიძღვნილი კონცერტის მხარდამჭერი, სადაც ქართველ შემსრულებლებთან ერთად, უკრაინელი შემსრულებელიც იღებდა მონაწილეობას.

სამწუხაროა, რომ დღეს არ ხდება ინფორმაციის გადამოწმება და „სიტყვის თავისუფლება“ „ყველაფრის უფლებად“ არის აღქმული! იქნებ იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ მთავარ ომს ჩვენ თავადვე ვუცხადებთ ერთმანეთს, როცა ამხელა სიძულვილის გამოვლენა შეგვიძლია! როცა შეგვიძლია, რომ ასე დაუნდობლად, ასე განუსჯელად დავადანაშაულოთ ადამიანები! როცა არ გვაინტერესებს სიმართლე და უპირობოდ ვიჯერებთ ყოველგვარ ცილისწამებას! მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს ჩემი ქალაქი და მიყვარს ადამიანები. მთელი ჩემი საქმიანობა სწორედ ამ სიყვარულის ასახვა და მტკიცებულებაა...

მთელი გულით ვულოცავ უკრაინას და უკრაინელ მოქალაქეებს დამოუკიდებლობის დღეს და ვუსურვებ იცხოვრონ მშვიდობიან, აყვავებულ ქვეყანაში, სადაც თითოეული ბავშვი, თითოეული ადამიანი ბედნიერი და თავისუფალი იქნება“, - წერს სოფო ხალვაში.

მოამზადა ანკა ჩხიკვაძემ

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 1 129 510 ლარით გაიზარდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი 31 950 663 ლარს შეადგენს. საკრებულოს სხდომაზე მიიღეს ცვლილება, რომლის თანახმადაც ხარჯვითი ნაწილი 1 129 510 ლარით გაიზარდა.

თანხები დაემატა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს, ასევე, განისაზღვრა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები.

სხდომაზე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესი, რაც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი მექანიზმი იქნება.

ხელვაჩაურის საკრებულოს სხდომას მშვიდ ვითარებაში არ ჩაუვლია, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოპოზიციისა და მმართველი გუნდის წარმომადგენლები, მთავარი საკამათო თემა კი სოფელ ზანაქიძეებში ტრანსპორტის მოთხოვნა იყო. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები აცხადებდნენ, რომ სოფელში ტრანსპორტი არ დადის. „ქართული ოცნების“ დეპუტატის განცხადებით, ამის მიზეზი მძღოლების დეფიციტია. როგორც ხელვაჩაურის მერმა განაცხადა, სატრანსპორტო კომპანიას პირადად ესაუბრა და ამ სოფელში ტრანსპორტის გრაფიკით დანიშვნას ელოდება.

- სოფელ ზანაქიძეებში, ჭარნალში მოსახლეობა უჩივის უტრანსპორტობას, უგზოობას, უწყლობას. გაზიფიცირება მოსაგვარებელია ერგეში, მახოში, სიმონეთში. ოპოზიცია უკვე რამდენი ხანია მიმართავს დახმარებისთვის ხელვაჩაურის მერს, მერიას, მაგრამ მათგან მხოლოდ დაპირება ისმის, რაც დაპირებადვე რჩება, - თქვა ხელვაჩაურის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა მალხაზ თავდგირიძემ.

- ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვაწარმოებთ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ვუდგავართ გვერდით მოსახლეობას, - აღნიშნა ხელვაჩაურის მერმა ზაზა დიასამიძემ.

- ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები და ამ ცვლილებების ფონზე გაიზარდა ხარჯვითი ნაწილი, აღნიშნული თანხები მოხმარდება სხვადასხვა მიმართულებას, მაგრამ მე მაინც მინდა გამოვყო სოციალური მიმართულება, რომლის ფარგლებშიც შეშით ისარგებლებს ხელვაჩაურის უამრავი მცხოვრები, - თქვა ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძემ.

ამბები

„კოლხობა 2022“

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

სარფის სანაპიროზე ტრადიციული სახალხო დღესასწაული „კოლხობა“ გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა, წარმოდგენილი იყო რეწვის ოსტატების ნამუშევრები, გაიმართა კოსტიუმირებული პერფორმანსი.

სარფის სანაპიროზე მისულ დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა, დაეგემოვნებინა ლაზური ტრადიციული კერძები.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მუსიკალურმა ჯგუფებმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

დასასრულ კონცერტი გამართა ლაშა ღლონტმა.

- ეს დღესასწაული არის ისტორიად ქცეული მითის გაცოცხლება, აქ მოსულ დამთვალიერებელს შევთავაზეთ მრავალფეროვანი პროგრამა, რაც ვფიქრობ, ძალიან მოეწონათ, - თქვა ხელვაჩაურის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელმა ქეთევან დევაძემ.

- ძალიან მომეწონა პერფორმანსი, რომელიც დღესასწაულზე წარმოადგინეს. ნამდვილად ზღაპრული დღე იყო და მადლობა ყველას ღონიძიების დაგეგმისთვის, - გვითხრა „კოლხობის“ მონაწილე ინგა დიასამიძემ.

ოფიციალური წარდგენა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

„ქალთა ოთახების გაერთიანება“, „ქალთა ფონდი საქართველოში“ სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, იწყებს ახალ პროექტს სახელწოდებით „ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებებში“.

პროექტის ოფიციალური წარდგენა შუახევის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახში შედგა. შუახევი ერთ-ერთი სამიზნე მუნიციპალიტეტია, სადაც შეიქმნება სადისკუსიო პლატფორმები.

შეხვედრები კიდევ სამ მუნიციპალიტეტში (ხულო, ქედა, ხელვაჩაური) გაგრძელდება, სადაც დაინტერესებული მხარეები და პოტენციური ბენეფიციარები მიიღებენ პროექტის შესახებ ინფორმაციას და ინსტრუქციას ჩართულობისთვის.

პროექტი ხორციელდება „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით.

„უკან დაბრუნება სუიციდის ტოლფასია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*საქართველოს წარმატება დამოკიდებულია დემოკრატიული სტანდარტების დანერგვაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემასა და კანონის უზენაესობაზე, სწორედ ამ საკითხების მოგვარებას გვირჩევენ დასავლელი მეგობრები. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ამ მიმართებით აზრთა სხვაობაა. ხელისუფლება ოპოზიციას ადანაშაულებს ურაპატრიოტობასა და პოპულიზმში, ოპოზიცია კი მმართველ პარტიას - ანტიქართულ ქმედებაში, რაც, მათი თქმით, გამოიხატება თუნდაც ანტიდასავლურ რიტორიკაში. ოპოზიცია საშემოდგომოდ ხელისუფლებას სიურპრიზებს ჰპირდება, რაც მრავალ კითხვას ბადებს: შეძლებს თუ არა ოპოზიცია სექტემბერში მძლავრი საპროტესტო მუხტის გაღვივებას მოსახლეობაში და დასავლეთის თანადგომის გარეშე რა საფრთხე ემუქრება ჩვენს ქვეყანას? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „აჭარასთან“ საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი **ბიბა ფარტენაძე** საუბრობს.*

- დღევანდელ საქართველოში არსებულ რეალობაზე რას იტყვით?

- დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ დღის წესრიგს თუ გადავხედავთ, აშკარად იკვეთება ნაკლები იმპულსურობა. ალბათ, ეს აიხსნება საზაფხულო პერიოდით, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს პოლიტიკური პარტიები თუ სამოქალაქო საზოგადოება ძალების აღდგენის პროცესშია და ახალი შემართებით, იდეებითა თუ სტრატეგიებით აპირებს შემოდგომაზე ქართული პოლიტიკური ამინდის ფორმირებას. წინა წლებთან შედარებით, ჩვენი ქვეყანა უდიდესი გამოწვევისა და პასუხისმგებლობის წინაშე დგას (12-პუნქტიანი გეგმის შესრულება), ამიტომაც არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არ უნდა დაავიწყდეთ მთავარ, ეროვნულ საკითხზე კონცენტრირება, რათა ხელიდან არ გავუშვათ ისტორიული შესაძლებლობა.

- დიახ, ოპოზიცია ხელისუფლებას საშემოდგომოდ სიურპრიზებს ჰპირდება ეროვნული დაუმორჩილებლობის კუთხით, რას ფიქრობთ, როგორი შედეგი ექნება ამას?

- პოლიტიკაში ნებისმიერი ხერხით ბრძოლა, რომელიც განმტკიცებული და აღიარებულია

რთველოს პროდასავლურ კურსს?

- ე.წ. სამეულისა განცხადებები, რომელიც ჩვენი მოკავშირეების თუ პარტნიორი ქვეყნების დადანაშაულებას, გაკრიტიკებას და მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ეწევა, არის გამიზნული და, რა თქმა უნდა, ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის პროდასავლურ კურსს, ვინაიდან ისინი არ მოიაზრებიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურებად, მათი აფილირება ხელისუფლებასთან არის აბსოლუტურად ლოგიკური და გამართლებული.

- ამ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს მმართველ პარტიას სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, ეს რის მიმანიშნებელია?

- ქალბატონი ზურაბიშვილის შეცვლილი რიტორიკა მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები (ან უმოქმედობა) კრიტიკის საგანია არა მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფებისთვის, არამედ თავად მათ მიერ არჩეული პრეზიდენტისთვისაც. ეს რაზე მიუთითებს, საზოგადოებამ განსაჯოს, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად გულწრფელია თუ არა ის, ხელისუფლების კრიტიკისას, და წინასწარ შეთანხმებული ხომ არ არის შესაბამის პირებთან, ხომ არ იტოვებს ხელისუფლება ერთგვარ ალტერნატიულ გზას, ერთი

ლი მმართველი პარტია შეინარჩუნებს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს?

- ფაქტი, რომ ქვეყნის მესამე პრეზიდენტის გავლენა კვლავ აქტუალურია „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჯიუტია, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში მყოფი მესამე პრეზიდენტის ფაქტორმა თავის ელექტორატზე ვერ მოახდინა ის გავლენა, რითაც შეძლებდნენ ხელისუფლების ცვლილებას, რისი ნათელი მაგალითიც გახლავთ არჩევნების შედეგები. ვფიქრობ, ეს იყო მაქსიმუმი, რისი დადების საშუალებაც ამ მოცემულობით გააჩნია „ნაციონალურ მოძრაობას“. მესამე პრეზიდენტის წასვლა ქართული პოლიტიკური ცხოვრებიდან ნიშნავს ახალი „ცხოვრების“ დაწყებას „ნაციონალური მოძრაობისთვის“.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ ჩვენი ხელისუფლებები არ არიან დაინტერესებული ეკონომიკის გაუმჯობესებით, რადგან დაბეჩავებული მოსახლეობის მართვა ადვილია...

- მოსაზრება რომ „ღარიბი“ მოსახლეობის მართვა უფრო ადვილია, ჭეშმარიტებაა. თუ ხელისუფლების თვითმიზანი არის საზოგადოების ანუ ქვეყნის კეთილდღეობა და ამისთვის საჭიროებებზე მორგებული პროექტებისა და ღონისძიების დაგეგმარება-იმპლემენტაციას უწყობს ხელს, ებრძვის კორუფციას, თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას, შანსი იმისა, რომ მოსახლეობა ეკონომიკურად გაძლიერდეს, დიდია, თუმცა დავსხდეთ და მხოლოდ ხელისუფლებას დავუწყოთ ლოდინი, არასწორია. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისთვის არ კმარა მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერე. მოქალაქის ძალაუფლებით აღჭურვა შესაძლებელია სამი ფაქტორით: პირველი - განათლება, მეორე - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მესამე - უფლების მინიჭება ანუ ამ ორის ერთობლივად გამოხატვის შესაძლებლობა. ეს მოცემულობა პასუხისმგებლიან ხელისუფლებას არ მისცემს მოდუნების საშუალებას, აარიდებს პოტენციურ გადაცდომებს და ბიუროკრატიულ აპარატს გახდის უფრო ეფექტურსა და მოქალაქეზე მორგებულს.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ - უკრაინაში ომის მეექვსე თვემ რა აჩვენა?

- პირველი - რუსეთის უძლეველობის მითი დაიმსხვრა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ეს ქვეყანა არის აგრესორი და იმპერიალისტური იდეოლოგიის და ინტერესების გარდა არაფერი აინტერესებს, მისთვის ადამიანი არ არის ღირებული, არა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე (უკრაინელი იქნება ეს თუ ქართველი). საკუთარიც კი არაფრად უღირს. ოფიციალური მონაცემებით, ათიათასობით რუსი ჯარისკაცია უკვე დაღუპული უკრაინის ტერიტორიაზე მხოლოდ იმიტომ, რომ პუტინის ახირება გახლდათ ეს. რის გამო იხოცება უსასტიკესი მეთოდებით უდანაშაულო ათასობით ბავშვი, ქალი, ხანშიშესული ადამიანი? რუსეთის სიდიადის მსხვრევის პროცესი დაწყებულია უკრაინაში და ის უნდა გაჩერდეს უკრაინაში და ამ პროცესს სხვა ალტერნატივა არ აქვს.

- დასავლეთის დახმარება უკრაინის მიმართ თვალსაჩინოა, სწორედ დასავლური შეიარაღებით უმკლავდება უკრაინული არმია აგრესორს, რომელმაც უკვე იერიში მიიტანა ყირიმის ნახევარკუნძულზე...

- რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დასავლეთი დღეს უკრაინას და უკრაინელ ხალხს, თუმცა მოდით, მივყვეთ თავიდან - იყო და არის თუ არა ეს საკმარისი? დასავლეთის რეაქცია დაგვიანებული იყო 2008 წელს, როდესაც ჩვენ ვაფრთხილებდით მთელ მსოფლიოს, რომ რუსეთი დაგვესხმებოდა თავს, 2014 წელსაც, როცა მოხდა ყირიმის ანექსია და 2022 წელსაც, მაშინ როდესაც ყველა ტრიბუნის გამოყენებით უკრაინა მოუწოდებდა მთელს მსოფლიოს, შეეჩერებინათ რუსეთი, თუმცა ასე არ მოხდა და აგერ უკვე 6 თვეა 21-საუკუნეში პირდაპირ ეთერში ვუყურებთ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას... გვესმის, რომ პოლიტიკური პროცესების წინასწარმეტყველება 100% სიზუსტით შეუძლებელია, თუმცა თუ ერთი სახელმწიფოს მაგალითი (2008 წელს რუსეთის შემოჭრა საქართველოში) არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ რუსეთის აგრესია რეალურად აღექვა დასავლეთს და წინასწარ გადაედგა ქმედითი ნაბიჯები, 2014 წელსაც ხომ ზუსტად იგივე განმეორდა ყირიმის მაგალითზე? და, სამწუხაროდ, იგივე მოხდა მესამედ, უკვე 2022 წელს ისევ რუსეთის მონაწილეობით უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე შეჭრით. დასავლეთმა არ უნდა შეწყვიტოს უკრაინის როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო მხარდაჭერა, რათა ეს დიდი, „სახალხო ინტერესებს“ ამოფარებული ბოროტი მანქანა ერთხელ და სამუდამოდ დავამსხვრიოთ, როგორც დაიმსხვრა ნაცისტური რეჟიმი.

იხ. მე-5 გვ.

> *„ძალიან მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დასავლეთი დღეს უკრაინას და უკრაინელ ხალხს, თუმცა მოდით, მივყვეთ თავიდან - იყო და არის თუ არა ეს საკმარისი? დასავლეთის რეაქცია დაგვიანებული იყო 2008 წელს, როდესაც ჩვენ ვაფრთხილებდით მთელ მსოფლიოს, რომ რუსეთი დაგვესხმებოდა თავს, 2014 წელსაც, როცა მოხდა ყირიმის ანექსია და 2022 წელსაც, მაშინ როდესაც ყველა ტრიბუნის გამოყენებით უკრაინა მოუწოდებდა მთელს მსოფლიოს, შეეჩერებინათ რუსეთი, თუმცა ასე არ მოხდა და აგერ უკვე 6 თვეა 21-საუკუნეში პირდაპირ ეთერში ვუყურებთ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას...*

კონსტიტუციით, გამართლებული და მიზანშეწონილია. თუ ჩვენ გვინდა სამართლებრივი სახელმწიფოს შენება, ეს ფორმულა ჩვენი ბრძოლის ტაქტიკის პროპორციული უნდა იყოს. რაც შეეხება ოპოზიციას და მათ საშემოდგომო სიურპრიზებს, ვფიქრობ, თუ ქვეყანაში რაღაც არ მოგწონს და ამის საწინააღმდეგოდ გაგაჩნია ხელჩასაჭიდი არგუმენტები თუ ფაქტები, დანაშაულად მიმაჩნია მისი კონკრეტული „სეზონისთვის“ გამოაშკარავება. უფრო რბილად რომ ვთქვათ, რაც უფრო ნაკლებია ფაქტებით გაჯერებული არგუმენტები, მით უფრო მეტი სივრცე რჩება პოლიტიკური სპეკულაციებისთვის.

- ვხედავთ, რომ ოპოზიცია და მმართველი პარტია ერთმანეთს 12-პუნქტიანი ევროპული რეკომენდაციების დაბლოკვაში ადანაშაულებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ რეკომენდაციების შესრულება ჩვენი ევროპული მომავლისთვის?

- მოცემულობა არის შემდეგი (და საკითხის მნიშვნელობაც, ვფიქრობ, მარტივად გასაგებია): 12 პუქტის შესრულება ჩვენი ქვეყნისთვის ნიშნავს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. არ შეასრულებთ რეკომენდაციას - და ვრჩებით ამ ისტორიული მონაპოვრის გარეშე და ფაქტობრივად, ვაბრკოლებთ ჩვენი ქვეყნის განვითარებას. არცერთ პოლიტიკურ პარტიას თუ პოლიტიკოსს, ვსაუბრობ პროდასავლურ (ღიად თუ ფარულად მხარდამჭერებს ვგულისხმობ) ფლანგზე არ ეპატიება 12-პუნქტიანი გეგმის ვერშესრულება და პასუხისმგებლობაც უნდა იყოს შესაბამისი.

- მმართველი გუნდიდან ახლახან გასული დეპუტატები (სუბარი, ყაველაშვილი, ხუნდაძე) დროდადრო ჩვენს მოკავშირეებს აკრიტიკებენ, რომ მათ საქართველოს ომში ჩათრევა უნდათ, მსგავსი განცხადებები რამდენად აზიანებს საქა-

მხრივ (აღმასრულებელმა - მთავრობამ, უმრავლესობამ) აკრიტიკოს ჩვენი დასავლელი პარტნიორები, დიპლომატიური კორპუსი და სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო მეორე მხრივ პრეზიდენტის ინსტიტუტმა, პირიქით, დაიცვას კრიტიკის ობიექტების ინტერესები და ერთგვარი ბალანსი შექმნას შედეგის მიუხედავად.

- სხვათა შორის, ექსპერტები ოპოზიციას აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ იგი ცაიტნოტშია და ურჩევენ ერთ მძლავრ ბლოკად გაერთიანებას, თქვენ რას იტყვით ოპოზიციურ ფლანგზე?

- საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებს და პოლიტიკურ განწყობებს თუ შევადარებთ წინა წლებს, იკვეთება შემდეგი ტენდენცია: ფაქტია, რომ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება იზრდება წლიდან წლამდე, თუმცა აღნიშნული არ აისახება ოპოზიციური პარტიების ბალანსზე, ლოგიკურად ხომ შეიძლება დაისვას კითხვა, რატომ ხდება ასე? ვფიქრობ, პასუხი სწორედ ოპოზიციის ზოგჯერ გაუგებარ, არათანმიმდევრულ და არაჯეროვან ქმედებებში უნდა ვეძიოთ. გამოსავალი მართლაც, ძალთა გაერთიანებაშია, თეორიულად, კი ბატონო, დავუშვათ რომ ასეა, მაგრამ რეალურად ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის გემოვნებაზე მორგებული მოდელი ჯერაც ვერ წარმოადგინეს პარტიებმა, რაც შეიძლება ნაკლები ნდობით აიხსნას. ქართველი ხალხი ითხოვს ცვლილებებს, თუმცა ოპოზიციურ პარტიებს ამ დაკვეთის შესრულება დღევანდელი მოცემულობით, ვფიქრობ, ძალიან გაუჭირდებათ, გამოსავალი კი სწორ საკადრო პოლიტიკასა და ღია პოლიტიკის კეთებაში უნდა ვეძიოთ.

- ალაპარაკდნენ იმაზეც, რომ შესაძლოა საკაშვილი გაემჯნოს ქართულ პოლიტიკას და „ნაცმოძრაობა“, თუ ეს რეალობა დადგა, ყოფი-

უცხოეთი

ჩვენ უკრაინასთან პარტნიორობის ერთგულები ვართ, დავეხმარეთ მათ ნატოს სტანდარტებზე გადასვლაში. ზამთარი მძიმე იქნება. ჩვენ ვხედავთ, რომ მიმდინარეობს დამქანცველი ომი. ეს არის ნებისყოფის, ლოგისტიკის ბრძოლა, ამიტომ უნდა გავაგრძელოთ უკრაინის მხარდაჭერა, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა „ყირიმის პლატფორმის“ მეორე სამიტზე სიტყვით გამოსვლისას. როგორც მან აღნიშნა, ძლიერი და სტაბილური უკრაინა ევროატლანტიკური უსაფრთხოების საწინდარია. „აქტიურად მოვუწოდებ ლიდერებს, რაც შეიძლება სწრაფად უკრაინას რაც შეიძლება მეტი შეიარაღება მიაწოდონ“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

პუტინს სურდა, შეერყია უკრაინის დამოუკიდებლობა და უკეთესი მომავლის რწმენა, მაგრამ საპირისპიროს მიაღწია - უკრაინა

არა მხოლოდ დამოუკიდებლობის 31 წლისთავს აღნიშნავს, არამედ ევროკავშირის წევრობის კანდიდატიც გახდა, - ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფოდ დერ ლაიენმა „ყირიმის პლატფორმის“ სამიტზე განაცხადა. მისი თქმით, ევროკავშირი დარჩება უკრაინის გვერდით იმდენ ხანს, რამდენიც იქნება საჭირო. უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერა გამოუცხადა ასევე ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა.

* * *

უკრაინაში რუსეთის შეჭრამ მსოფლიო სამუდამოდ შეცვალა, - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა. „გასაგებია თუ ზოგიერთს ახლა სურს დაბრუნება 23 თებერვლამდე არსებულ მსოფლიოში, თუმცა ეს მსოფლიო უკვე აღარ იარსებებს. ის, რაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოხდა, ვერასდროს გამოსწორდება“, - აღნიშნა გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა და დასძინა, რომ სანამ ეს სასტიკი ომი გაგრძელდება, გააგრძელებენ უკრაინის მხარდაჭერას სამხედრო დახმარებით.

* * *

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ჩინეთში ქორწინებისა და შობადობის მაჩვენებლები შემცირდა, რაც ბოლო წლებში ბავშვთა განათლებისა და მოვლის ხარჯის გაზრდას უკავშირდება, - ამის შესახებ ჩინეთის ჯანდაცვის ეროვნულ კომისიაში განაცხადეს. „კორონავირუსმა აშკარა გავლენა იქონია ზოგიერთი ადამიანის ქორწინებასა და მშობიარობაზე“, - აცხადებენ დემოგრაფები და დასძენენ, რომ ამ წელს ჩინეთში ახალშობილთა რიცხვი რეკორდულ ნიშნულამდე, 10 მილიონზე დაბლა დაეცემა (გასულ წელს 10,6 მილიონი ბავშვი დაიბადა). შობადობის მკვეთრ ვარდნასთან დაკავშირებული პრობლემის დასაძლევად ჩინეთის ხელისუფლებამ გასული წლის განმავლობაში შემოიღო ისეთი ზომები, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები, ხანგრძლივი დეკრეტული შვებულება, გაძლიერებული სამედიცინო დაზღვევა, საბინაო სუბსიდიები და დამატებითი ფინანსური დახმარება მესამე ბავშვის გაჩენისთვის.

მოამზადა
ია შველიძემ

«არ დავიზარებთ იმ ადამიანების მოკითხვას, რომლებსაც არც სამუშაო გრაფიკი აქვთ და არც გამოსასვლელი დღე»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის გასვლითი სხდომა ქედაში, ქვეყნის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას სტუმრობა, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იმაზე მიანიშნებს, რომ ქედაში სოფლის მეურნეობის განვითარებას ყურადღება ექცევა. ამ და სხვა დარგებში არსებულ ვითარებაზე, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობაზე, კულტურულ და სპორტულ მიღწევებზე «აჭარასთან» ქედის მუნიციპალიტეტის მერი **როლანდ ბერიძე** *საუბრობს.*

- მერის თანამდებობაზე ქედელი ამომრჩევლების აქტიური მხარდაჭერით მოვედი და იმ დღიდან დიდი პასუხისმგებლობისა და გამოწვევის წინაშე ვდგავარ. ოთხი წელი ისტორიისთვის ძალიან მცირე დროა, მაგრამ ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში - არცთუ ისე მცირე. ის პროექტები, რომლებიც წინა წლებში დაიწყო, ჩვენ უნდა დავასრულოთ და ახლისთვის თადარიგი დავიჭიროთ. მთავარ გამოწვევად რჩება სოფლის მეურნეობის განვითარება, ტურისტული პოტენციალის ათვისება, დაბისა და სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, განათლების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კულტურის სფეროში მიღწეული წარმატებების განმტკიცება, სპორტული რესურსის უნარიანად გამოყენება. აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ერთობლივი მუშაობა, ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის თანადგომა იმის გარანტია, რომ სიტყვას საქმედ ვაქცევთ.

- ქვეყანა უკვე ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროში პანდემიამდელ ნიშნულს უახლოვდება. ქედის მუნიციპალიტეტში როგორაა საქმე?

- მოკლედ გეტყვით - წარმატებულად. წელს ქედამ, განვლილ პერიოდში, თითქმის ორჯერ მეტ ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტიორს უმასპინძლა, ვიდრე 2019 წლის 12 თვეში. მარტო მახუნცეთი აღარაა ტურისტული ობიექტი. სტუმარი არ აკლია მერისის ხეობას. აქ არსებული სასტუმრო, ჩანჩქერი, ნამონასტრევის ისტორიული და კულტურული ძეგლები, სამკურნალო წყლები ტურისტებისთვის საინტერესო ობიექტებად რჩება. უცხოელმა და ადგილობრივმა ტურისტებმა კოსლითავის, სასადილოს, დიდვაკის, ნაკონაღარის, ლაშეს საზაფხულო სახლებშიც თავი კომფორტულად იგრძნეს. ამ მხრივ კიდევ მეტი აქტიურობაა საჭირო.

- ქედა ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლებითაც გამორჩეულია. რა კეთდება მათი მოვლა-შენახვისა და ტურისტულ ობიექტებად გადაქცევისთვის?

- მიწისა და თაღოვანი ხიდები დოლოგანში, მახუნცეთში, წონიარისში, დანდალოში, ციხეების ნაშთები პირველ მაისში, ზენდიდში, ცივასულაში, დანდალოში (ტაკიძეები), ეკლესიის ნანგრევები, თუნდაც მე-19 საუკუნის დასაწყისში აშენებული ახ-

> ***„სულ რაღაც 60-65-კომლიანი დასახლებაა მერისის ხეობაში სოფელი გარეტყე. აქ წელიწადში 40-45 ტონა ბოსტნეული მოჰყავთ. თურქი მომხმარებელი აქაურ ბოსტნეულს ბითუმად ყიდულობს. ისევ გამოჩნდა ბაზარზე დანდალოს პომიდორი***

ოსა და ცხმორისის მეჩეთები ტურისტების ყურადღებას იპყრობს. ქვეყნისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის სააგენტოებთან საქმიანი ურთიერთობები იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ წარსული დიდების ნაშთები მოუვლელი არ დარჩება. გასაკეთებელია მისასვლელი გზა-ბილიკები. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ცივასულას ციხეზე, მნიშვნელოვან არტეფაქტებსაც მიაკვლიეს. ნამონასტრევში სამონასტრო კომპლექსის ნაშთებს საბურველი უკვე ჩამოხსნეს.

- ის ყურადღება, რასაც ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების პირველი პირები ქედაში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის იჩენენ, რა ფაქტორებითაა განპირობებული?

- ქვეყნის ბაზარსა და მეზობელ ქვეყნებში უკვე იციან ქედაში მოყვანილი ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის, აქ წარმოებული თაფლის, ღვინის, არყის გემო. სულ რაღაც 60-65-კომლიანი დასახლებაა მერისის ხეობაში სოფელი გარეტყე. აქ წელიწადში 40-45 ტონა ბოსტნეული მოჰყავთ. თურქი მომხმარებელი აქაურ ბოსტნეულს ბითუმად ყიდულობს. ისევ გამოჩნდა ბაზარზე დანდალოს პომიდორი. ერთ ხანს აქაურმა ფერმერებმა იგი სხვა ჯიშის პომიდვრით ჩაანაცვლეს, მაგრამ მოსავლიანობაც და ხარისხიც დაბალი იყო. მართალია, ჩხავერის ჯიშის ვაზის სამშობლოდ მეზობელი გურია ითვლება, მაგრამ ქედაში დაკრეფილი (განსაკუთრებით მერისის ხეობა და სოფელი ვაიო) ჩხავერის ღვინოს ყველაზე მეტი სამკურნალო თვისებები აქვს. ქვეყნის მასშტაბით ფერმერები ფუტკარს ისე კარგად ვერ უვლიან, როგორც ქედაში. მეფუტკრეობას მიმდევრებიც მრავლად ჰყავს. კომპანია «კახური ტრადიციული მეღვინეობის» ხელმძღვანელმა ზურაბ ჩხაიძემ ქედაში ღვინის ქარხანა ააგო. მასვე ეკუთვნის ხილის გადასამუშავებელი საწარმო «ნენა». ჩვენთან წარმოებული ღვინო და ხეხილის პროდუქტები უკვე აზიისა და ევროპის ქვეყნების ბაზარზე გადის. ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებას სასიკეთოდ წაადგა ევროკავშირის დაფინანსებით მცირე საწარმოების გახსნა. ქვეყნის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია დანდალოში ავალიანების მეურნეობას სტუმრობდა საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად. საბედნიეროდ, ავალიანები მარტო არ არიან. საუკეთესო მეურნეობები და მარნები აქვთ ვაიოში, გეგელიძეებში, პირველ მაისში, მერისში, წონიარისში, ახოში, ცხმორისში. სულ მალე მახუნცეთის ტერიტორიაზე ღვინის ახალი ქარხანა გაიხსნება. ევროკავშირის დაფინანსებით, კიდევ ერთი ხილის გადასამუშავებელი საწარმო შემოგვემატა.

- აგვისტოს ცხელი დღეები მოსავალს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. რა ღონისძიებებს ატარებთ?

- აგვისტო, ტრადიციულად, ყველაზე მშრალი და უნალექო თვეა, მაგრამ წელს ტემპერატურამ საგრძნობლად მოიმატა. მერისის ხეობაში, წონიარისის, ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში სარწყავი წყლის დეფიციტი არ იგრძნობა, რასაც ვერ ვიტყვით დანდალოს, ზვარეს, პირველი მაისის, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებზე. ფერმერები ყოველ ღონეს ხმარობენ სიმწიფეში შესული ჭირნახულის გადასარჩენად. ყველა სოფელსა და დასახლებულ უბანში სასმელი წყლების გამოყვანამ გარკვეული შედეგი გამოიღო. ფერმერები დღისა და ღამის საათებში წყალს აუზებში აგროვებენ და ნასიცხარ მცენარეებს რწყავენ. გვალვიანი ამინდების მიუხედავად, დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში ბოსტნეულის კარგი მოსავალი მიიღეს. სანანქებო რთველი ექნებათ ვაიოელ, ცხმორისელ, კოკოტაურელ, გეგელიძეებელ, პირველმაისელ, ზენდიდელ მევენახეებს. მრავალი მევენახე 5 ტონაზე მეტ ყურძენს დაკრეფს.

- ქედაში სუბტროპიკული ხურმის კარგი მოსავალი იცის...

- ამ ხილის მოშენებაც ბევრმა ფერმერმა წამოიწყო, მსხმოიარობაც კარგია. ადრე მისი გატანა უკრაინასა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ბაზარზე ხდებოდა. უკრაინა, ჯერჯერობით, საომარ მდგომარეობაშია, ალბათ, რეალიზატორები სხვა ქვეყანას გამონახავენ.

- რუსეთ-უკრაინის თემაზე რას გვეტყვით?

- ჩემს თაობას არ ახსოვს მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, არც ომის შემდგომ, დანგრეული ეროვნული მეურნეობის აღდგენაში მიგვიღია მონაწილეობა, თუმცა რუსი ოკუპანტების ნამოქმედარი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ვნახეთ. დიპლომატიას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველო დიდი საფრთხისა და გამოწვევის წინაშეა. ოდნავი საბაბიც საკმარისია, რომ რუსული თვითმფრინავები გამოჩნდნენ საქართველოს ცაზე, ტანკებმა ისევ გადათელონ ჩვენი მიწა. ამიტომ დიდი წინდახედულება გვმართებს. უკრაინა დღეს მარტოა, სავალალოა, ამ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის ბედი. მსოფლიომ უნდა შეაჩეროს რუსული ოკუპაცია.

- ისევ მუნიციპალიტეტს დავუბრუნდეთ. პანდემიისას დაწესებული რეგულაციების მოხსნის შემდეგ, კულტურის სფეროში, სპორტულ სარბიელზე წარმატებებს აღწევთ...

- ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა «ბეთლემმა» დიდი წარმატება მოიპოვა თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ მსოფლიო ფესტივალზე. ქედა მასპინძლობდა ფოლკლორული, ქორეოგრაფიული ანსამბლების, ინდივიდუალური შემსრულებლების ზონალურ ტურს. ჩვენს შემსრულებლებს მაღალი შეფასებები მისცეს ისეთმა ცნობილმა ხელოვანებმა, როგორებიც არიან უჩა დვალიშვილი, ნანა ვანიშვილი, ეთერ თათარაიძე... გვასახელეს ქედელმა მოჭიდავეებმა. მარტო წელს ქედა ქართული ჭიდაობის სამ ტურნირს მასპინძლობდა. ვაიოელმა ჩოგბურთელებმაც თავისი სიტყვა თქვეს.

- სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა-კეთილმოწყობა რა ეტაპზეა?

- მნიშვნელოვანი თანხებია მობილიზებული მთავარი სპორტული არენის - დაბა ქედის არჩილ ფარტენაძის სახელობის ფეხბურთის სტადიონის კეთილმოსაწყობად. თითქმის ყველა სოფელს, საჯარო სკოლას აქვს სპორტული მოედანი ან დახურული დარბაზი, სადაც ახალგაზრდობა სპორტის ცალკეულ სახეობაში ვარჯიშობს. მერისის, ცხმორისის კულტურის ცენტრებთან ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები მოქმედებენ, მათ მალე ნორმალური მატერიალური ბაზა ექნებათ.

- ორწლიანი პაუზის შემდეგ, მთებში მყოფი მეცხოველეებიც მოიკითხეთ.

- მეცხოველეებს «შუამთობის» სახალხო დღესასწაულის კვირეულამდეც შევხვდით და საჭიროების შემთხვევაში, არც ახლა დავიზარებთ იმ ადამიანების მოკითხვას, რომლებსაც არც სამუშაო გრაფიკი აქვთ და არც გამოსასვლელი დღე. ისინი ზღვის დონიდან 1900-2300 მეტრზე მაღლა, სამ თვეს ატარებენ. ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, მუხლჩაუხრელად შრომობენ და ოჯახის სამყოფ, თუნდაც ქვეყნის ბაზარზე გასატან მეცხოველეობის პროდუქტებს აწარმოებენ. წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად, მთა ლაშეზე და აჭარა-შავშეთის ქედზე არსებულ სხვა მთებში (ნაკონაღარი, კოსლითავი, კვესაური) გახლდით. ლაშეზე უხუცეს მემთეურს სამახსოვრო ჯილდოც გადავეცით. შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების მერებმა მიგვიპატიჟეს ბეშუმის, ჩირუხის, ზოტიყელის ტერიტორიაზე გამართულ ღონისძიებებზე, საქმიანი საუბრები გვქონდა უცხოელ და ქვეყნის სხვა რეგიონებიდან მოპატიჟებულ სტუმრებთან.

- «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით», ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, ორასამდე მცირე და დიდი პროექტია დაგეგმილი...

- ეს პროექტები წლის ბოლომდე დასრულდება. არის გარდამავალი პროექტებიც, მათი ექსპლუატაციაში შესვლა მომავალ წელს იგეგმება. მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ქედა-წონიარისის მონაკვეთზე. კონკურსში გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში ხარისხიანად ასრულებს. პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის «განახლებული რეგიონების» ნახევარმილიარდი ლარის ბიუჯეტიდან, წილი ჩვენზეც გადმოვიდა. მობილიზებული თანხა დაბა ქედის ცენტრის კეთილმოწყობას ხმარდება. მერიასთან არსებული ჯგუფი პროექტების მიმდინარეობას, შესრულების ვადებსა და ხარისხს მონიტორინგს უწევს. მერიის სამსახურები, საკრებულოს კომისიები, მაჟორიტარი დეპუტატებიც არიან ჩართული საქმეში. იმ მეწარმეებს, ფირმებს, კომპანიებს, რომლებიც საერთო რიტმს ვერ აჰყვებიან, საჯარიმო სანქციები დაუწესდებათ.

უკრაინა

უკრაინაში გუშინ დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს მთავარმა სადაზვერვო სამმართველომ უკრაინელებს მოუწოდა, რუსეთის მხრიდან სარაკეტო თავდასხმებისა და პროვოკაციების გაზრდილი საფრთხის გამო, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ომშია, უკრაინამ არ უღალატა ტრადიციას და ერთი დღით ადრე სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონია გაიმართა. „უკრაინის სახელმწიფო დროშა სამუდამოდ დაბრუნდება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ კიევის ცენტრში სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონიაზე.

* * *

„გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს, უკრაინა! ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ შევცვალეთ ისტორია, შევცვალეთ მსოფლიო და თავადაც შევიცვალეთ. ახლა ზუსტად ვიცით, ვინ არის ნამდვილი ძმა და მეგობარი, არა შემთხვევითი ნაცნობი, ვისაც თავისი სახელი და რეპუტაცია არ დაუკარგავს და ვინ განიცდიდა, რომ ტერორისტებს სახე არ დაეკარგათ, ვის არ ვჭირდებით დანამდვილებით და სად არის ჩვენთვის კარი ღია, გავიგეთ, ვინ ვინ არის. მთელმა მსოფლიომ გაიგო, ვინ არიან უკრაინელები და რა არის უკრაინა. აღარავინ იტყვის მასზე - ეს იქაა, სადღაც რუსეთთან“, - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში.

* * *

ამჟამად უკრაინა არ არის მზად რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებებისთვის, რადგან არ სურს მინსკის შეთანხმებების უარყოფითი გამოცდილების განმეორება, რამაც ჩვენს ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვა გამოიწვია, - აცხადებს ვოლოდიმირ ზელენსკი. მისი თქმით, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში, უკრაინა დარჩება სამხრეთით მდებარე ტერიტორიების ნაწილის გარეშე და არ ექნება წვდომა ზღვაზე. რუსეთის ფედერაციამ შესაძლოა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, კვლავ დაიწყოს საომარი მოქმედებები, სცადოს მიკოლაიევის, ოდესის ხელში ჩაგდება და გაიმეოროს კიევის აღების მცდელობა. ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხაზი გაუსვა, რომ ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია და სახელმწიფო ნებისმიერი საშუალებით დაიბრუნებს ოკუპირებულ ნახევარკუნძულს.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი აცხადებს, რომ უკრაინამ ომის ყველაზე ცუდი სცენარი უკან მოიტოვა და ბრძოლის ველისა და ხაზების სტაბილიზაციის ეტაპზეა. როგორც მან აღნიშნა, მიაჩნია, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი საფრთხე საერთაშორისო საზოგადოებაში „დაღლილობის სინდრომია“. კითხვაზე, ეშინია თუ არა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ომით დაიღალოს, რეზნიკოვმა უპასუხა: „ჩემთვის ეს ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ საფრთხის წინააღმდეგ. უნდა ვისაუბროთ, ვთხოვოთ ადამიანებს, არ დაიღალონ, რადგან ეს ჩვენთვის ძალიან, ძალიან სახიფათოა“.

* * *

რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან 972 ბავშვი დაიღუპა ან დაშავდა, - ინფორმაციას გაეროს ბავშვთა ფონდი ავრცელებს. მათივე ცნობით, რეალური რიცხვი გაცილებით მეტია. გაეროს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ქეთრინ რასელის თქმით, მიმდინარე ომმა უკრაინის საგანმანათლებლო სისტემა გაანადგურა. „სასწავლო წლის დაწყება სულ რაღაც ერთ კვირაში ცხადად გვახსენებს, თუ რამდენი დაკარგეს უკრაინაში ბავშვებმა. უკრაინის საგანმანათლებლო სისტემა განადგურდა საომარი მოქმედებების ესკალაციის გამო მთელი ქვეყნის მასშტაბით. სკოლები სამიზნეებს წარმოადგენს, რის შედეგადაც ოჯახები თავიანთი შვილების სკოლაში გაგზავნას უსაფრთხოდ ვერ მიიჩნევენ. ჩვენი ვარაუდით, 10 სკოლიდან 1 დაზიანებული ან დანგრეულია“, - აღნიშნა ქეთრინ რასელმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

თენგიზ აფხაზავა: ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის დაწყებამდე ბოდიში მოუხადა დეპუტატებს დარბაზში სხვადასხვა ფერის სკამების განთავსების გამო

ზიქრია დავლაძე 597 25 25 72

„ახალი სკამები - ოცნებას“, ძველი კი - ოპოზიციას“ - ამ სათაურით ტელეკომპანია „პირველმა“ თავის გვერდზე ბათუმის საკრებულოს სხდომის ფოტო გამოაქვეყნა, სადაც სხვადასხვა ფერის სკამებია ასახული. იქვე ეწერა, რომ ბათუმის საკრებულოს ახალგარემონტებულ დარბაზში ახალი სკამები მხოლოდ „ოცნების“ წევრებისთვის შეიძინეს

ტელეკომპანია „პირველის“ მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას ცრუს და დაუსაბუთებელს უწოდებენ „ქართულ ოცნებაში“. ამბობენ, რომ ტექნიკურ საკითხს საკრებულოს აპარატი წყვეტს და ის ფაქტი, რომ თითქოსდა ახალი და ძველი სკამები საკრებულოს წევრებზე გამიზნულად გადანაწილდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

- ეს არის ტექნიკური საკითხი, რომელსაც საკრებულოს აპარატი წყვეტს. ამას არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ აქვს. არ იყო საკმარისი რაოდენობის სკამები დარბაზში, რის გამოც ნაწილის მერიიდან შემოტანა გახდა საჭირო. მოგეხსენებათ, დეპუტატების რაოდენობა გაიზარდა. საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის დაწყებამდე ამაზე გაამახვილა ყურადღება და დეპუტატებს ბოდიშიც კი მოუხადა სხვადასხვა ფერის სკამების გამო. მომავალ სხდომებზე ყველას ერთნაირი სკამი ექნება. როგორც ვიცი, ტენდერი იყო გამოცხადებული სკამების შესაძენად, რომელიც ჩაიშალა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ახალი ტენდერია გამოცხადებული. გაფორმდება ხელშეკრულება შესაბამის კომპანიასთან და 35-ვე დეპუტატს ექნება ახალი და ერთნაირი სკამი. ასე რომ, ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, - განაცხადა ბათუმის საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნებიდან“ თენგიზ აფხაზავამ.

რატომ ამოიღეს ბულვარის გენგეგმიდან „ამბასადორის“ შენობის შესახებ ჩანაწერი?

ზიქრია დავლაძე 597 25 25 72

ოპოზიციის წევრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნის მიუხედავად, რომ ბულვარის გენგეგმაში დარჩენილიყო „ამბასადორის“ 21-სართულიანი შენობის შესახებ ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, ნაგებობა ბულვართან შეუსაბამოა, ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილებით დოკუმენტიდან მაინც ამოიღეს. მიზეზად „ქართულმა ოცნებამ“ სასამართლო დავა დაასახელა, რომელიც „ამბასა-დ-ორი ბათუმის“ მშენებელმა გენგეგმის მწარმოებელ კომპანიასთან წამოიწყო. მათი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით როცა დავა მიმდინარეობს, ჩანაწერი გენგეგმაში ვერ დარჩება.

- „ამბასადორთან“ დაკავშირებით სასამართლო დავა მიმდინარეობს, რომელიც არ არის არსებითად დასრულებული და დავის დასრულებამდე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ არის სწორი, - განაცხადა სხდომაზე ბათუმის საკრებულოს იურისტმა სულიკო შვენთიძემ.

ბათუმის საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც გენგეგმიდან „ამბასადორის“ შესახებ ჩანაწერის ამოღებას მხარი დაუჭირა, თუმცა გაზეთ „აჭარასთან“ ამის შესახებ კომენტარი არ გააკეთა.

- საკითხთან დაკავშირებით, არაერთხელ გაკეთდა კომენტარი საკრებულოზე, რა უნდა გითხრათ განსხვავებული ამის შესახებ. არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია და შეგიძლიათ გამოითხოვოთ ან მიმართოთ შესაბამის სპეციალისტებს, - განაცხადა ნატალია ზოიძემ.

„ამბასადორის“ შესახებ ჩანაწერის დოკუმენტიდან ამოღებას ბათუმის საკრებულოს სხდომაზე ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. როგორც ცნობილია, გენგეგმიდან „ამბასადორის“ შესახებ ჩანაწერის ამოღების თხოვნით საკრებულოს კომპანიამ მიმართა. საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ განაცხადა, რომ გენგეგმის პროექტი არის შეცვლილი.

- „ამბასადორის“ შენობა, როგორც ბულვარისთვის შეუსაბამო, გენგეგმიდან ამოიღეს. მათ უკვე შეუძლიათ სხვა ცვლილებებიც შეიტანონ ნებისმიერ ობიექტთან მიმართებაში. წესით, იურიდიულად ვერ ამოიღებდნენ, მაგრამ გამოსავალი ნახეს, სახელი შეუცვალეს, რაღაც დოკუმენტი შექმნეს, რომლის მიხედვითაც „ამბასადორი“ დარჩა ისეთივე ფორმით, როგორიც არის. იმ გენგეგმაში, რომლისთვისაც მხარი უნდა დაგვეჭირა, წითლად მონიშნული ობიექტები მრავლადაა. პირველი ასეთი ობიექტი იყო „ამბასადორი“. მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა და შეცვალა, ვინაიდან საფრთხეს უქმნიდა, პირველ რიგში, „ქართული ოცნების“ ბიზნესინტერესებს. მინდა ვთქვა, რომ ეს დოკუმენტი დღის სინათლეს ვერ იხილავს. ამ დღეებში ვაპირებთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, ეს დოკუმენტი უნდა გავასაჩივროთ, - განაცხადა რევაზ ხარაზმა.

სამოქალაქო აქტივისტის ირმა ზოიძის თქმით, ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილება უსამართლოა. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, სამოქალაქო აქტივისტები მუშაობენ იმისთვის, რომ სამართლებრივად შეძლონ თავიანთი მოთხოვნების სისრულეში მოყვანა.

- თვითმმართველობა უხეშად ჩაერია ამ ყველაფერში, რომ აღნიშნული დოკუმენტით არ ეხელმძღვანელა მოსამართლეს. სამწუხაროდ, კომისიის სხდომის დოკუმენტი ვნახე, სადაც წერია, თითქოს მე საპირისპირო აზრის ვარ „ამბასადორის“ შესახებ, თითქოს არ ვეწინააღმდეგები საკითხის ამოღებას. შესაბამისად, ოქმი არის საეჭვო, სურთ ის გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ. საბოლოო ჯამში, ნატალია ზოიძემ დააყენა ინიციატივა, ამოღებულიყო „ამბასადორის“ საკითხი დოკუმენტიდან, რამაზ ჯინჭარაძემ მხარი დაუჭირა ამას, რასაც ჩემი და ოპოზიციის პროტესტი მოჰყვა. დოკუმენტს მთავარი არსი შეეცვალა, ამიტომ საკრებულოს თავმჯდომარე, მინიმუმ, ვალდებული იყო, დაებრუნებინა მერიისთვის დოკუმენტი, ემსჯელათ ისევ საჯაროდ და ამის შემდეგ საკრებულოს სხდომაზე ისევ განეხილათ. დოკუმენტში აღარ არის შეუსაბამობის შესახებ ინფორმაცია. ეს ასე არ დარჩება. ასევე, ბევრი კანონსაწინააღმდეგო ხარვეზია. ჩვენ ვმუშაობთ ამ თემაზე, ვმსჯელობთ. ქალაქმა ნახევარი მილიონი გადაიხადა ექსპერტიზის დასკვნაში, თუმცა ხელისუფლებამ ეს უგულებელყო. ამ ეტაპზე ინფორმაციების გამოთხოვის პროცესში ვართ, - განაცხადა გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას ირმა ზოიძემ.

ცნობისთვის, ბათუმის ბულვარის გენგეგმაში ეწერა, რომ „ამბასადორის“ პროექტი, რომელიც მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას ითვალისწინებს, ბულვარისთვის შეუსაბამოა. დოკუმენტის თანახმად, ამ კონკრეტულ შენობასთან მიმართებაშიც, ისევე როგორც სხვა შეუსაბამო ნაგებობებთან დაკავშირებით, შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ. გენგეგმაზე კომპანია „ბაუ დიზაინი“ მუშაობდა. ბულვარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მერიასთან დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს. ბულვარი, როგორც ქონება, მერიას ეკუთვნის, ამიტომაც გენგეგმის საბოლოო ვარიანტს საკრებულო ამტკიცებს.

„უკან დაბრუნება სუიციდის ტოლფასია“

მე-3 გვერდიდან

- რუსეთი რომ არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, ცნობილია, ზაპოროჟიეს რეგიონში განლაგებულ ატომურ სადგურზე რუსი სამხედროები პროვოკაციებს აწყობენ, ამით რისი მიღწევა სურს კრემლს?

- კრემლის პროპაგანდისტებმა იმ მიზანს მიაღწიეს, რომ დასავლურ, ცივილიზებულ საზოგადოებაში გაეღვივებინათ განცდა, რომ რუსეთი არის არაპროგნოზირებადი ქვეყანა, ირაციონალური გადაწყვეტილებების მიმღები, რითიც სურთ, დათესონ შიში და მოახდინონ ზეგავლენა არა მხოლოდ ხელისუფლებებზე, არამედ მსოფლიო მოსახლეობაზე. კრემლს რომ ჰქონოდა ატომური თუ ბირთვული იარაღის გამოყენების გამბედაობა, ვფიქრობ, ამას აქამდეც გამოიყენებდა. ეს არის სპეკულაცია და ფართო საზოგადოების დაშანტაჟება-შეშინების მცდელობა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია, თუმცა ფაქტი, რომ პუტინი შეეცდება ზაპოროჟიეს ვითარება „ვაჭრობის“ საგნად გადააქციოს, ეს ცხადია.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ უკრაინა ამ ომს მოიგებს, რასაც რუსი ანალიტიკოსები (პიანტკოვსკი, ილარიონოვი...) არ უარყოფენ, ამ მხრივ რუსეთისგან რა სიურპრიზებს უნდა ელოდოს თუნდაც საქართველო და მოლდოვა?

- ამ ომის დასრულების შემდეგ რუსეთი ვეღარ იქნება ისეთი ძლიერი, როგორიც იყო 6 თვის წინ, სანამ შეიჭრებოდა უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის ეკონომიკა ჩამოშლილია ახალ-ახალი სანქციებით, დაწესებული შეზღუდვებით და უდიდესი სამხედრო და ეკონომიკური დანაკარგით. ხაფანგში მოქცეული დათვის მსგავსად, ჯერ გაუსაძლის ტკივილს შეებრძოლება, შემდეგ კი ეს ტკივილი მას დაანარცხებს ძირს.

- დაბოლოს, არახალია, რომ ჩვენი ქვეყანა დიდადაა დამოკიდებული დასავლეთის მხარდაჭერაზე, როგორც ამ საკითხში კომპეტენტურს, მინდა გკითხოთ: აშშ-ის და ევროკავშირის თანადგომის გარეშე რა საფრთხე ემუქრება საქართველოს?

- საქართველოს ისტორიული მონაპოვარი არის ჩვენი ქვეყნის დასავლურ ცივილიზებულ ოჯახში ღირსეულად ყოფნა, სასწორის მეორე მხარეს კი დევს რუსეთის გაუმართავი და კორუფციისგან ჩამპალი ბიუროკრატიული აპარატი, უგულებელყოფილი ადამიანის უფლებები, განვითარების და პროგრესის ნაცვლად ჭაობი. ჩვენი მისწრაფება - ვაშენოთ დასავლური, ძლიერი და სამართლებრივი სახელმწიფო, განპირობებულია სწორედ იმით, რომ არ გვსურს, დავბრუნდეთ იმ ჭაობში, რომელშიც 70 წლის განმავლობაში გვამყოფეს, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, არ გავნადგურდეთ, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის სურვილმა შეგვაძლებინა, რომ ამოვძვერით სტაგნაციიდან და ახლა უკან დაბრუნება თვითლიკვიდაციის, სუიციდის ტოლფასია.

„ბორჯომში ცეცხლის კერების გავრცელების არეალმა შედარებით დაიკლო... ხანძარი წითელ ზონას არ გასცდენია“

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ბორჯომში, სტიქიის ზონაში განაცხადა.

მისი თქმით, ხანძრის დასახლებულ პუნქტებზე გავრცელების საშიშროება არ არსებობს.

„ავიაციას 3 თვითმფრინავი დაემატა და მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს მეგობრებს - თურქულ მხარეს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მნიშვნელოვნად შეეტყო კიდეც. დღეს ქარი იყო და ვერტმფრენებს უჭირდათ ძალიან. რამდენიმე საათი დილით იმუშავეს, თუმცა ქარში ვეღარ მუშაობდნენ. აქედან გამომდინარე, ავიაციამ მაქსიმალურად მაღალ დონეზე იმუშავა და შედეგიც სახეზეა. შედარებით დაიკლო ცეცხლის კერების გავრცელების არეალმა. არის, რა თქმა უნდა, ცოტა მომატებული, წითელ ზონას არ გასცდენია შემიძლია ვთქვა, თუმცა გუშინ სადაც არ იყო, დღეს იქ ცეცხლი გადასული იყო და ახალ-ახალი კერები იყო. სადაც ფიჭვნარი იყო, უფრო მეტად იქ ჩნდებოდა.

პატარ-პატარა კერებია. მესმის, თვითონ ტერიტორიის მასშტაბი დიდია, თუმცა ცეცხლის მასშტაბი შედარებით ნაკლებია. ცეცხლის მოსახლეობაზე გადასვლის საშიშროება არ არსებობს, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, ქარიშხალი არ ამოვარდა და უბედურება“, - განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ამირან გურიელიძე

რას გვპირდება ხულოს დრამატული თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი?

ახალი სეზონისთვის ემზადება ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, რომელსაც ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. პროფესორი ***თამაზ გოლქვაძე*** *ჩვენი სტუმარია.*

- როგორ შემოვიდა თეატრი თქვენს ცხოვრებაში?

- ბათუმში, საშუალო სკოლის პარალელურად, ჯერ სამხატვრო სკოლაში, შემდეგ სამხატვრო სასწავლებელში სახვითი ხელოვნების მიმართულებით (ქანდაკების კურსი) ვსწავლობდი. ვცადე მისაღები გამოცდების ჩაბარება ლენინგრადის (ახლანდელი სანქტ-პეტერბურგის) სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ მცდელობა უიღბლო გამოდგა. ზოგიერთების მსგავსად, ხელი არ ჩამიქნევია. უმაღლესი განათლების მიღება ჩემი სანუკვარი ოცნება იყო. მოსამზადებელი ეტაპი რომ გამევლო, ახლად დაარსებულ (1980 წ.) ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრში მხატვარ-დეკორატორად დავიწყე მუშაობა. ამ გადასახედიდან ვასკვნი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ალბათ, ხელოვნების არცერთმა დარგმა არ იცის ისე ჩათრევა, თუნდაც სიყვარული, როგორც თეატრმა. იგი ხომ მრუდი ლაბირინთებიდან გამოათრევს ტყუილსა და სიყალბეს და მის საშინელ სახეს სამზეოზე გამოიტანს. იგი თვალწინ გადაგვიშლის ადამიანურ ვნებათა და ტანჯვათა მრავალფეროვან სურათს. გოეთე თეატრს ასე აფასებდა: «სცენა და მაყურებელთა დარბაზი, მსახიობები და მაყურებლები მხოლოდ ერთობლივ ქმნიან ერთ მთლიანს». 1981-1986 წლებში თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. დრამის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, დრამისა და თოჯინების თეატრის სპეციალობით, პროფესორ გივი სარჩიმელიძის ჯგუფში. ეს წლები ჩემი ცხოვრების «ოქროს ხანა» იყო.

- ხელოვნების ეს დარგი ვისი რეკომენდაციით აირჩიეთ?

- ზღვაში ნაოსნობის დროს მესაჭეს უნდა დაემორჩილო, ცხოვრებაში კი სხვებზე უფრო გონებადამჯდარ კაცს. ეს შეგონება სრულად მიესადაგება ჩემი და პროფესორ გივი სარჩიმელიძის ურთიერთობებს. როცა ბათუმის თოჯინების თეატრში ვმუშაობდი, პირველ მთავარ რეჟისორად თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი გივი სარჩიმელიძე დაინიშნა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თეატრის პროფესიული ფორმით ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო, რაც ჩემი მომავალი არჩევანის საფუძველი გახდა. მისი შეგონებები დღესაც გზას მიკვალავს. ცხოვრებით, საქმიანობით ვცდილობ, ახალგაზრდებთან ისეთივე ვიყო და ის სახელი დავტოვო, როგორიც ამ კეთილმა ადამიანმა დატოვა.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ლექციების კურსი მიგყავთ მსახიობისა და რეჟისორის ოსტატობაში. ამ სასწავლო კერას დღეს რა როლი აკისრია ქართულ თეატრალურ სფეროში?

- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (დაარსდა 1996 წელს) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნულ თეატრალურ სფეროში. იგი საუკეთესო კადრებს ამზადებს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სახელმწიფო თეატრებისთვის.

- მეოთხედ საუკუნეზე მეტია, მისი კურსდამთავრებულები საპატიო ადგილს იჭერენ ოზურგეთის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის ორ და ხულოს პროფესიულ სახელმწიფო თეატრებში.

- ზოგიერთები მთას გაურბიან და ქალაქში არცთუ პრესტიჟულ სამუშაოს არჩევენ. თქვენ პირიქით გააკეთეთ.

- ხულოს თეატრი დიდი ტრადიციების მქონე კულტურის კერაა. რომც დავზარალდე, არ ვინანებ. ჩემი პროფესიული გამოცდილება მცირედითაც რომ წაადგეს ამ თეატრს, თავს ვალმოხდილად ჩავთვლი. ეს თანამდებობა ჩემთვის საამაყო და საპასუხისმგებლოცაა. ჩემ მიერ სამინისტროს წინაშე წარდგენილ კონცეფციაში გაწერილია ის სამოქმედო გეგმა, რომლითაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უნდა ვიხელმძღვანელო. გპირდებით - წინ მრავალი საინტერესო, შინაარსიანი, მაყურებლისთვის მიმზიდველი პროცესი გველის.

- ხულოსთან, ძირკვაძეებთან ბავშვობის წლები გაკავშირებთ. «ძირკვაძეობის» წამოწყების ინიციატორთაგანიც იყავით. რატომ მიივიწყეთ ეს დღესასწაული?

- მამა პროფესიით პედაგოგი იყო (ფილოლოგი), ქედლებისა და ღორჯომის სკოლებში მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ საცხოვრისად ბათუმის გარეუბანი (სოფელი ახალშენი) აირჩია. ძირკვაძეებთან კავშირს არ წყვეტდა. ზაფხულის არდადეგებზე აქ მოვყავდი. არ დამავიწყდება ბებია-ბაბუასთან ურთიერთობა. იქიდან მოყოლებული, ფიზიკურად თუ არა, სხვა მხრივ ჩემს ძირკვაძეებთან, აქაურ მარჯვენაკურთხეულ, გამრჯე ადამიანებთან ვარ. რაც შეეხება «ძირკვაძეობას», უკვე გვაქვს სოფლის დღესასწაულის განახლების პროექტი.

- ხულოში შემონახულ დღესასწაულებზე რას იტყვით?

- «მუამთობა», «ტბელობა», «სელიმობა» (საუბარია «ხულოობის» დაწესებაზეც) თაობებში დავანებული, წლებს გამოტარებული დღესასწაულებია. ბავშვობა, სითბო, სიყვარული მაკავშირებს თითოეულთან. გვაქვს სურვილი, იგი თეატრის სცენაზეც გამოვიტანოთ. ხიხანის ციხის შესადარ ისტორიულ ძეგლს, სადაც ასტრონომი, ვარსკვლავთმრიცხველი აბუსერისძე ტბელი მოღვაწეობდა, რომელმაც რომის პაპს კალენდარი შეაცვლევინა, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა. ჩვენი ვალია, მეტი სანახობითი ფორმა მივცეთ ამ დღესასწაულებს, ისტორიის კუთვნილებად არ ვაქციოთ უღელში შებმული ხარი, ეზოში შეშის ჩეხვა, რძის ჩამოწველა-გადამუშავება, ქარგვა-ქსოვა, ჭიაკოკონობა... კარგი იქნება შეჯიბრების დაწესება, რომელშიც ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებიც ჩაერთვებიან.

- თეატრის უახლოეს გეგმებზე რას იტყვით?

- 11 სექტემბერს თეატრალურ სეზონს გავხსნით განახლებული სპექტაკლით «ომის ღმერთი» (რეჟისორი - ოთარ ქათამაძე), სექტემბრის ბოლოს მაყურებელს პრემიერას წარვუდგენთ - გურამ დოჩანაშვილის «ხორუმი ქართული ცეკვაა» (რეჟისორი - მერაბ ლებანიძე). ოქტომბერში იგეგმება აღდგენილი სპექტაკლის - თუნჯერ ჯუჯენოღლუს «ზვავის» (კოპროდუქცია: საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი) პრემიერა. ოქტომბრის ბოლოს მაყურებელს საპრემიერო სპექტაკლს - ნინო გუგეშაშვილის «არამგამას» (რეჟისორი - თამაზ ბოლქვაძე) შევთავაზებთ, ხოლო დეკემბრის პირველ რიცხვებში წარმოვადგენთ ევგენი შვარცის «თოვლის დედოფალს» (რეჟისორი - ვახტანგ ბერიძე). იგი ხულოს მუნიციპალიტეტის სკოლების კონტინგენტისა და საზოგადოებისთვისაცაა გათვლილი. ამ სპექტაკლს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს. 2023 წელს, დროისა და გარემოების შესაბამისად, ახალ, საინტერესო და ინოვაციურ პროექტებზე მუშაობა გაგრძელდება.

- დასთან პირველი შეხვედრა როგორი იყო და მასთან მუშაობის რა ფორმებსა და მეთოდებს ირჩევთ?

- მშვიდი და პერსპექტიული. მათი თანადგომის იმედი რომ არ მქონოდა, ამ ასაკში ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს არ შევეჭიდებოდი. რაც შეეხება მუშაობის ფორმას, ესაა იდეა, ამოცანა, ანალიზი, შესრულება.

- ხულოს თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებს უცხოეთშიც იწონებენ, სამაგიეროდ გასტროლი ვერ ხერხდება იმ რეგიონებში, სადაც აჭარიდან გადასულები სახლობენ...

- ჩვენ მივალთ ყველგან, სადაც დასის მისვლა აუცილებელია და სადაც გველოდებიან. იქაც მივალთ, სადაც პატარებმა არც კი იციან, რა არის სპექტაკლი, მხედველობაში მაქვს მუნიციპალიტეტის შორეული და მცირედ დასახლებული სოფლები.

- თეატრის მწირი ბიუჯეტის გაზრდის რა გზას მიმართავთ?

- გეთანხმებით, მართლაც მწირი ბიუჯეტი გვაქვს. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მაია ხაჯიშვილის დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი იმედის მომცემია. ვერც ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გულისხმიერ დამოკიდებულებას ავუვლი გვერდს. შინაარსიანი შეხვედრა მქონდა მერ ვახტანგ ბერიძესა და საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძესთან. მათ წარვუდგინე უახლოესი პერიოდის სამოქმედო გეგმა. საუბარი პოზიტიური და მხარდამჭერი იყო. მახარებს ქვეყანაში მდიდარი ადამიანების სიმრავლე. მათ ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ მადლიანი ნაბიჯები გადადგეს. მდიდარი ადამიანები ძლიერ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მობილიზებულ ქვეყანას ქმნიან. თუმცა არსებობს მარტივი ჭეშმარიტება - პიროვნების სახელის უკვდავყოფას მის მიერ ქველმოქმედებაში გაღებული ინვესტიციები განსაზღვრავს და არა ბანკის ანგარიშზე არსებული აქტივები. პირადი ურთიერთობები მაქვს რამდენიმე წარმატებულ ბიზნესმენთან. მჯერა, ისინი თეატრსაც გადმოხედავენ. თუ თეატრის წარმატებისთვის უცილებელი იქნება, საქმეში მეგობრებსაც ჩავრთავ. დღემდე მათი თანადგომით მოვდივარ.

- ოტია იოსელიანი, რობერტ სტურუა, ფრიდონ ხალვაში, რეზო, თემურ ჩხეიძეები, სულიკო ჟღენტი, ოთარ წურქავა... ეს ადამიანები ხულოს თეატრით ინტერესდებოდნენ.

- როცა საპრემიერო სპექტაკლებზე ვსაუბრობდი, რეჟისორების ჩართულობაზეც მივანიშნე. მრავალმა, თუნდაც ბათუმში, არც კი იცის, რა გზა გამოიარა ხულოს თეატრმა, არც ის, რომ წინა ხელისუფლების მმართველობის წლებში მისი გაუქმება დააპირეს, მაგრამ საღმა აზრმა გაიმარჯვა. მე სახელოვანი მწერლების, საქვეყნოდ ცნობილი თუ ახალბედა რეჟისორების იმედზე ვრჩები. სასურველი და საინტერესო პროექტებისთვის ჩვენი კარი ყოველთვის ღია იქნება. თეატრი ერთგვარი ექსპერიმენტული ლაბორატორიაა, ამიტომაც მოვიწვევთ როგორც გამოცდილ, პროფესიონალ, ასევე დამწყებ რეჟისორებს, ხელოვანებს თავისი ინოვაციური იდეებით, რა თქმა უნდა, თეატრის ბიუჯეტის ფარგლებში.

- იმედი ვიქონიოთ, რომ ხულოს თეატრი წამყვან პოზიციას დაიჭერს ქართულ თეატრალურ სივრცეში?

- თეატრი მარტო შენობა და მისზე მიმაგრებული აბრა არაა. ადამიანის გონებას თეატრალურ სანახაობებზე უკეთესი არაფერი გამოუგონია. ხულოში მას ეს ფუნქცია შენარჩუნებული აქვს. ჩვენ ყველასთან ურთიერთობის, თანამშრომლობის გზებს ვირჩევთ. აქვე იმასაც დავამატებ, რომ ოქტომბერში ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში XI-XII კლასების მოსწავლეებისთვის თეატრალური სტუდიის გახსნა იგეგმება. სტუდიის წევრებს შეეძლებათ კონკურსის წესით ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოხვდნენ სამსახიობო სპეციალობის კურსზე, როგორც ხულოს მიზნობრივი ჯგუფი. დიპლომის მიღების შემდეგ შემოქმედებით კარიერას აქ გააგრძელებენ. გვახსოვს ის წლები, როცა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ხულოს თეატრისთვის სპეციალური ჯგუფი იყო, რომელიც კიდეც დაუბრუნდა მთას. დღეს ის გოგო-ბიჭები წამყვანი მსახიობები არიან, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებშიც არიან გადაღებული. ხულოს ჯგუფის შერჩევის მიზნით, აქტიური ურთიერთობები მექნება უნივერსიტეტის რექტორატთან და ხულოს ზოგადსაგანმანათლებლო რესურსცენტრთან. მრავალი წარმატებული მსახიობი სკოლის მერხიდან მოვიდა ხულოს თეატრში და საუკეთესო სახელი დატოვა. ჩვენ არც იმათ როლს დავივიწყებთ, ვინც მთელი შემოქმედებითი ცხოვრება ხულოს თეატრს მოახმარა.

11 სექტემბერს თეატრალურ სეზონს გავხსნით განახლებული სპექტაკლით «ომის ღმერთი» (რეჟისორი - ოთარ ქათამაძე), სექტემბრის ბოლოს მაყურებელს პრემიერას წარვუდგენთ - გურამ დოჩანაშვილის «ხორუმი ქართული ცეკვაა» (რეჟისორი - მერაბ ლებანიძე). ოქტომბერში იგეგმება აღდგენილი სპექტაკლის - თუნჯერ ჯუჯენოღლუს «ზვავის» (კოპროდუქცია: საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი) პრემიერა

„ამიერიდან მშვიდად დავიძინებ“

დანისპარაულელი რუსუდან გელაძის ოჯახი 7 წევრისაგან შედგება. მეწყერი მის ოჯახს საფრთხეს უქმნიდა. დახმარებისთვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიმართა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით საყრდენი კედელი ჩამოუსხეს. „ახლა ჩემი ეზო უკეთეს მდგომარეობაშია. ამიერიდან მშვიდად დავიძინებ ჩემს 3 პატარასთან ერთად. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ხულოს საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ რამაზ გელაძეს გაწეული თანადგომისათვის. რაც ჩვენი ოჯახისათვის გააკეთა, ფასდაუდებელია. დიდი მადლობა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ პირებს ჩვენი გასაჭირის გათვალისწინებისთვის, შპს „ოლიმპი 2012“-ის შემადგენლობას - დაუღალავი შრომისთვის, - გვითხრა რუსუდანმა.

რუსუდანის ოჯახი გამონაკლისი არაა - სოციალური პროგრამით კიდევ რამდენიმე ოჯახმა ისარგებლა.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა – მოქმედებაში

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ქედელ მოქალაქეებთან საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს. თითოეულ მოქალაქესთან ინდივიდუალური საუბარი გაიმართა. პროექტით დაინტერესებულმა პირებმა მიწის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით ადგილზე მიიღეს კონსულტაცია და სასურველი პასუხები.



მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაცია წლების მიხედვით შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდება: 2022 წელს - დანდალოს და წონიარისის, 2023 წელს - დაბა ქედის, მახუნცეთის, დოლოგნის და ცხმორისის, 2024 წელს - პირველი მაისის, ოქტომბრის, მერისის და ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

შეხვედრას ქედის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

აჭარაში მარტოხელა დედების თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა გაფართოვდა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, მოადგილე ზურაბ თენიეშვილთან ერთად, სამინისტროს „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ პროგრამის ბენეფიციარებს სარეაბილიტაციო ცენტრ „თანაში“ შეხვდა და პროგრამის მიმდინარეობას გაეცნო.

შეხვედრაზე ბენეფიციარებმა სამინისტროს ხელმძღვანელებს გააცნეს თავიანთი ხედვა, ისაუბრეს, თუ რომელი სერვისების განვითარება ან დახვეწაა შესაძლებელი მომდევნო წლის პროგრამაში გასათვალისწინებლად.

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა პრობლემის მქონე მარტოხელა, ძალადობაგანცდილი, მიუსაფარი დედებისა და ბავშვების 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფას, სადღეღამისო მომსახურებას სამჯერადი კვებით, ასაკის, სქესის, სეზონის შესაბამისი ტანსაცმლითა და ჰიგიენის საშუალებებით უზრუნველყოფას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, დასაქმებაში დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში - სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლებას და ა.შ.

- შეხვედრაზე პროგრამით მოსარგებლეებს ინფორმაცია მივაწოდეთ სამინისტროს იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც მათ პროფესიულ გადამზადებას, ასევე, დასაქმების ხელშეწყობას. მიმდინარე წლის ივლისიდან სამინისტრომ გაზარდა პროგრამის ბიუჯეტი და ბენეფიციართა რაოდენობა. ანალოგიურ ცვლილებას ვგეგმავთ მომდევნო წლიდანაც. ჩვენი მიზანია, სხვადასხვა პრობლემის მქონე დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება იყოს დაცული, დავეხმაროთ ბიოლოგიურ ოჯახებს ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

- რომ არა ეს პროგრამა, ახლა შვილთან ერთად ვერ ვიცხოვრებდი. თავს ოჯახურ გარემოში ვგრძნობთ, გვეძლევა დასაქმების, სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა, ვსარგებლობთ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით არსებული ყველა პროგრამით, უზრუნველყოფილნი ვართ ყველა პირობით, რისთვისაც მადლობას ვუხდი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებს, - აღნიშნა სერვისით მოსარგებლე სოფიო ბოლქვაძემ.

- ყველა ქალს, ვინც ძალადობის მსხვერპლია და არ აქვს დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება, შეუძლია მიმართოს ჯანდაცვის სამინისტროს. პროგრამა მთლიანად მოიცავს ბენეფიციართა საჭიროებებს, - ამბობს პროგრამის განმახორციელებელი თავშესაფრის ხელმძღვანელი ნანა საყვარელიძე.

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამას აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო 2013 წლიდან ახორციელებს. მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აქამდე პროგრამით სარგებლობა 35 ბენეფიციარისთვის იყო შესაძლებელი, წელს, ამ ეტაპზე, სერვისით 40 ბენეფიციარი სარგებლობს, მათ შორის, 3 შშმ პირია. პროგრამის ბიუჯეტი 344 818 ლარს შეადგენს.

შუახევში სახლი დაიწვა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

გუშინ დაბა შუახევში ანზორ ჯემალის ძე დავითაძის ორსართულიან საცხოვრებელ სახლს ხანძარი გაუჩნდა. ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადები, თუმცა ძლიერი ქარის გამო ხის შენობას ცეცხლი სწრაფად მოედო და მთლიანად დაიწვა. ადგილზე მივიდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ბორის ჯონსონი – კიევში

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უკრაინაში მოულოდნელად ჩავიდა. „დაუნინგ სტრიტის“ ცნობით, ბორის ჯონსონი კიევში დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ფარგლებში იმყოფება. „უკრაინას შეუძლია და მოიგებს ამ ომს“, - განაცხადა ჯონსონმა.

„რაც ხდება უკრაინაში, ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ ვარ დღეს კიევში“, - დაწერა ჯონსონმა გუშინ ტვიტერში.

დამატებით 54 მილიონი ფუნტის დახმარება – უკრაინას

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა უკრაინისთვის დამატებით 54 მილიონი ფუნტის ღირებულების სამხედრო დახმარების შესახებ გამოაცხადა. კერძოდ, უკრაინაში 200-მდე დრონი გაიგზავნება შორ მანძილზე სადაზვერვო და თავდაცვითი უნარის გასაუმჯობესებლად. პაკეტში ასევე შედის 850 მიკრო-დრონი, რომლებიც სპეციალურად ქალაქებსა და სოფლებში გამოსაყენებლადაა შექმნილი მოახლოებული მტრის ძალების გამოსავლენად.

მედიის ცნობით, ოფიციალური ლონდონი გააგრძელებს უკრაინელი სამხედროების მომზადებას. დიდი ბრიტანეთი უკრაინელ ჯარისკაცებს უახლოეს კვირებში შეასწავლის სპეციალური მანქანების გამოყენებას ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოსაჩენად.

ამირან გურიელიძე

უძილობა - ძნელად დასაძლევი პრობლემა

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

უძილობა ყველა ასაკისა და სქესის ადამიანს შეიძლება აწუხებდეს, რომელიც გამოიხატება გართულებული ჩაძინებით, ხშირი გაღვიძებით, არასაკმარისი ძილითა და, გაღვიძების შემთხვევაში, ძილის შებრუნების შეუძლებლობით

უძილობის გამოწვევა ჯანმრთელობის ნებისმიერ პრობლემას შეუძლია და, ასევე, უძილობაც მრავალი პათოლოგიის მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს.

ძილი აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს. ძილის დროს ტვინი ფუნქციონირებას აგრძელებს, ოღონდ განსხვავებულ რეჟიმში. ის ამუშავებს და ახარისხებს განვლილი დღის განმავლობაში მიღებულ უამრავ ინფორმაციას. ამ დროს ერთდროულად მუშაობს ფსიქიკის ცნობიერი და ქვეცნობიერი შრეები. ნორმალური ძილი უზრუნველყოფს ინფორმაციის ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახვას, ზრდის კონცენტრაციის უნარს, აძლიერებს იმუნიტეტს და უზრუნველყოფს კარგ განწყობას მომდევნო დღისთვის.

ზრდასრული ადამიანისთვის ძილის ნორმალური ხანგრძლივობა 7-8 საათია, ბავშვებისა და მოზარდებისთვის - უფრო მეტი. ძილის ხანგრძლივობაზე დამოკიდებულია ადამიანის ცხოვრების რიტმიც. ძილის დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმა ჩაძინების შეუძლებლობაა, რაც მოსახლეობის მესამედს აწუხებს.

მედიცინაში უძილობას ინსომნიას უწოდებენ. განსხვავდება მისი მწვავე და ქრონიკული ფორმები, მიზეზების მიხედვით - პირველადი და მეორეული.

მწვავე ინსომნია - ეს არის ხანმოკლე პროცესი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ტრავმით ან სტრესით (მაგ. გამოცდების წინა ღამეებში). მწვავე ინსომნია სამ თვეზე ნაკლებ ხანს გრძელდება.

ქრონიკული ინსომნია - გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, რაც იწვევს ორგანიზმის ფსიქიკურ და ფიზიკურ გამოფიტვას, უარყოფითად მოქმედებს შემეცნებასა და ქცევაზე.

პირველად ინსომნიად მიიჩნევა მდგომარეობა, როდესაც უძილობა დამოუკიდებლად ვითარდება და არა - რომელიმე დაავადების გამო, ამ დროს პრობლემის სათავეა სხეულის ცირკადული (სადღეღამისო, ბიოლოგიური) რიტმის დარღვევა.

მეორეული უძილობა - გამოწვეულია სხვა დაავადებით, მაგ. ხანდაზმულებში მაღალი წნევის, ვენების დაავადებების ფონზე...

ინსომნიის დროს ადამიანს უჭირს ჩაძინება, ცუდად სძინავს, ხშირად ეღვიძება, გაღვიძების შემდეგ კი თავს დასვენებულად ვერ გრძნობს, რაც მის ემოციურ ფონზეც აისახება.

უძილობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება პათოლოგიურად, თუ ადამიანი ყოველ დილით გრძნობს, რომ ძილი დააკლდა.

ძილის მეორეული დარღვევის დროს უძილობის მიზეზია უკვე არსებული სხვა დაავადებები (ნევროზი, დეპრესია, სუნთქვის დარღვევა, ზოგჯერ ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღებაც შეიძლება უძილობის მიზეზად იქცეს).

ინსომნიის განვითარების მაღალი რისკის ქვეშ არიან: მაღალი სტრესის მქონე პირები; დეპრესიულები; ადამიანები, რომლებსაც ხშირად უწევთ სხვადასხვა სასაათო ზონაში მოგზაურობა; დაბალი შემოსავლის მქონე პირები (სტრესის გამო); მჯდომარე ცხოვრების წესის მქონე პირები.

უძილობის ჩამოყალიბებას შეიძლება ხელი შეუწყოს:

ძილის აპნოემ - ძილის დროს სუნთქვის უნებლიე შეჩერებამ 10 წმ-ით და მეტით (ეს შესაძლოა საათში 10-ჯერაც კი მოხდეს);

სიმსუქნემ - ზედმეტი წონის ადამიანებს წოლისას უჭირთ სუნთქვა, რის გამოც ხშირად ეღვიძებათ;

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებმა (იწვევს ქოშინს, თავის ტკივილს, სიმძიმის შეგრძნებას კეფის არეში და სხვა დისკომფორტს);

მენოპაუზამ - ქალის ორგანიზმი ჰორმონულ სტრესს განიცდის;

ასევე, ძილის წინ დანაყრებამ, განსაკუთრებით, ცხიმიანი საკვებით, რაც იწვევს გულძმარვას, შებერილობას; ძილის წინ ყავის, ჩაის, ენერგეტიკული სასმელების მიღებამ, კოფეინის ზემოქმედების გამო;

ენდოკრინულმა დაავადებებმა.

უძილობის დიაგნოზი რომ დაისვას, ადამიანი უნდა უჩიოდეს ჩამოთვლილთაგან ერთ სიმპტომს მაინც: დილაობით მეტისმეტად ადრე გაღვიძებას; ხშირ გაღვიძებას; გაღვიძებისას დაღლილობის შეგრძნებას. ასევე, შესაძლოა აღენიშნებოდეს გაღიზიანებადობა, დათრგუნულობა, კონცენტრაციის გაძნელება, უენერგიობა, ღამით - ჩაძინების გაძნელება, დღისით - ძილიანობა და დაღლილობა.

ძილის გამოსწორებაში დაგვეხმარება შემდეგი:

შეეცადეთ, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დაწვეთ დასაძინებლად, არავითარი ღამისთევა; ძილის წინ მსუბუქად ივარჯიშეთ, კარგია იოგაც; აკონტროლეთ კოფეინის დღიური ოდენობა, ერიდეთ დაძინებამდე 3-4 საათის განმავლობაში ჭამას; მოიგონეთ საკუთარი რიტუალი ძილის წინ, მაგალითად, კითხვა, მუსიკის მოსმენა, თბილი აბაზანის მიღება რელაქსაციის მიზნით.

მედიკამენტების მიღება რეკომენდებულია მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. მელატონინს ხშირად იყენებენ, თუმცა მისი ეფექტურობა ქრონიკული უძილობის დროს დადგენილი არ არის.

კატაბალახას (ვალერიანის) წვეთები ან აბები ეფექტურია უძილობისა და მოუსვენრობის დროს, მაგრამ მისი გადაჭარბებით მიღება ვნებს ღვიძლს.

ექიმი პაციენტის უძილობის შესაფასებლად იყენებს პაციენტის მიერ წარმოებულ ძილის დღიურს, ეფვორტის სკალას, პოლისომნოგრაფიას, აქტიგრაფიას, მენტალური ჯანმრთელობის შემოწმებას...

ძილის კორექციის ერთ-ერთი მეთოდია კუნთების პროგრესული რელაქსაცია, გამოიყენება დეპრესიის, სტრესის, ფსიქოემოციური პრობლემების დროს. ეს ვარჯიში სულ 20 წუთს მოითხოვს, საჭიროა შესრულდეს ყოველდღე. უნდა დაიწყოთ ფეხებიდან და დაასრულოთ სახით (შესაძლოა როგორც დაწოლილ, ასევე, მდგომარე პოზიციაში):

1. აირჩიეთ კუნთების ნებისმიერი ჯგუფი, თუნდაც ბარძაყის. ჩაისუნთქეთ და ჩასუნთქვის პარალელურად დაძაბეთ კუნთების არჩეული ჯგუფი, ამოსუნთქვისას კი მოადუნეთ, ჩასუნთქვაც და ამოსუნთქვაც უნდა იყოს ძალიან ნელი, 5-10 წამს მაინც რომ გაგრძელდეს;

2. 10-20 წამი შეისვენეთ, მოდუნდით, მერე კი გადადით შემდეგ ჯგუფზე, ვთქვათ, დუნდულებზე;

3. მოდუნების ფაზაში დაუკვირდით, რას გრძნობთ იმ კუნთების არეში, რომლებსაც ავარჯიშებდით. კუნთების ყოველი დაძაბვისას გონებაში მოიკრიბეთ მთელი ნეგატივი, მოდუნებისას კი წარმოიდგინეთ, რომ მას ისევე იშორებთ, როგორც კუნთების დაძაბულობას.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/08/22, 21 ³⁵ სთ.

დღეს „ღამის სერენადები“ იწყება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ამ არაჩვეულებრივ საერთაშორისო ფესტივალს წელს დაარსებიდან 40 წელი უსრულდება, აღდგენიდან კი მე-14 - სწორედ ამდენი წელია მას „ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი“ ეწოდება. გუშინ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მედიის წარმომადგენლებისთვის პრესკონფერენცია გაიმართა.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ისაკაძემ, დირექტორმა ნინა ცაგარელმა, ქალაქ ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა მერაბ ქიძინიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ ისაუბრეს ფესტივალის შესახებ.

25 და 26 აგვისტოს „ღამის სერენადებს“ ბათუმი უმასპინძლებს, შემდეგი მეორე ნახევარი კი თბილისში ჩატარდება და მიეძღვნება საფრანგეთისა და იტალიის საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავს. როგორც ყოველთვის, ფესტივალში მონაწილეობენ წარმატებული მუსიკოსები.

27 აგვისტოს აჭარის მწერალთა სახლში გაიმართება ლიანა ისაკაძის წიგნის „მუსიკის ზეიმის“ პრეზენტაცია. ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართება მასტერკლასები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.

- მოხარული ვარ, რომ ფესტივალს ბათუმი ისევ მასპინძლობს. წელსაც მრავალფეროვანი პროგრამა გვაქვს. ძალიან საინტერესო მუსიკოსები წარსდგებიან მსმენელის წინაშე როგორც ბათუმში, ისე თბილისში, - აღნიშნა გიორგი ისაკაძემ.

- ერთი თვის განმავლობაში გაიმართება ოთხი კონცერტი. ფესტივალი, ტრადიციულად, ბათუმში გაიხსნება 25 აგვისტოს. ჩვენ სიამოვნებით ველოდებით საღამოებზე ერთგულ მსმენელს, - გვითხრა ნინა ცაგარელმა.

- სიმბოლურია, რომ აფხაზეთში დაარსებული ფესტივალი, რამდენიმე წლის შემდეგ, აჭარაში აღდგა. ის იმართება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. იმედი მაქვს, რომ ეს მნიშვნელოვანი ფესტივალი მალე დაუბრუნდება აფხაზეთს, - თქვა თამარ გუდავამ.

- „ღამის სერენადები“ რამდენიმე წელია ტარდება ბათუმში და უკვე შესისხლხორცებულია ქალაქის კულტურულ ცხოვრებასთან, მრავალფეროვნებასთან. სასიამოვნოა, რომ ჩვენ ასეთ ფესტივალს მხარში ვუდგავართ როგორც ფინანსურად, ისე ორგანიზაციულად, რადგანაც აღნიშნული პროექტი გამოირჩევა სოლიდურობით, მაღალი გემოვნებით, ეს არის ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს და რაზეც ბათუმის საზოგადოების მოთხოვნაცაა, - აღნიშნა მერაბ ქიძინიძემ.

ნინა ცაგარელმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ ფესტივალის მხარდამჭერია. საინფორმაციო საშუალებების მხარდამჭერთა შორისაა გაზეთი „აჭარაც“.

ბათუმის საჭადრაკო ფესტივალი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმში ჩატარდა 8, 10, 12, და 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის ღია საჭადრაკო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი - 2022“, რომელსაც მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.

ასპარეზობა თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად ჩატარდა. 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში ფიდეს რეიტინგი ითვლებოდა. ფესტივალში 82 მოჭადრაკე ჩაერთო.

როგორც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა სალომე მელიამ გვითხრა, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებული ხუთეული როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შორის, დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო პირველ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს თასიც გადაეცათ.

წარმოგიდგენთ სხვადასხვა კატეგორიაში პირველ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს.

ალექსანდრე ბერიშვილი (მწვრთნელი ქეთევან გუგეშაშვილი), ანასტასია მელაძე (მწვრთნელი იამზე ბოლქვაძე), ანდრია ქრისტესიაშვილი (მწვრთნელი დიმიტრი მაღალაშვილი), ბარბარე ჭიოკაძე (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი), შოთა ცეცხლაძე (მწვრთნელი ნინო კეკელიძე), ლიზი ვასაძე (მწვრთნელი ნინო წიტაიშვილი), გიორგი გოგიაშვილი (მწვრთნელი ალექსი ტერ-კარაპეტიანი) და კსენია ბოდნარუკი.

ტურნირზე დაასახელეს ხუთი საუკეთესო მწვრთნელი, რომელთა შორის არიან ალექსი ტერ-კარაპეტიანი, ნინო წიტაიშვილი, ნესტან მახაჭაძე, ნინო ჯვარშეიშვილი, თენგიზ დიდმანიძე.

ირაკლი ახვლედიანის წარმატება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97



საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინფორმაციით, ბათუმელი მოჭადრაკე, ფიდეს ოსტატი ირაკლი ახვლედიანი პორტუგალიის საჭადრაკო ტურის გამარჯვებულია. ის 2021-2022 წლების სეზონის საერთაშორისო ტურნირების სერიის გამარჯვებული გახლავთ.

სერიის ფარგლებში გამართული სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში ნაჩვენები ქულების საერთო ჯამით ჩვენმა მოჭადრაკემ ყველაზე მეტი - 220 ქულა დააგროვა და გამარჯვებულადაც გამოცხადდა.

ვულოცავთ ირაკლის და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.